

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას აშშ დოლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება	1
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	2
კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	4
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....	5-41

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალის“ ხელმძღვანელობას, სამეთვალყურეო საბჭოს და პარტნიორებს

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნა

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ბათუმის ნავთობტერმინალისა“ (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი საწარმოს - შპს „ბათუმის საზღვაო ნავსადგურის“ (შემდგომში, ერთობლივად - „ჯგუფი“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის შესაბამისად (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით) (ბესს-ის კოდექსი) და შესრულებული გვაქვს ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ჯგუფის 2022 წლის წლიურ ანგარიშში და მმართველობით ანგარიშგებაში ასახული სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია ჯგუფის 2022 წლის მმართველობით ანგარიშგებაში, გარდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა და ჩვენ მიერ მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა.

ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობით ანგარიშგებას და ჩვენ არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე გამოცემულ ჩვენს დასკვნაში.

ჩვენ მიერ ჩატარებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, ვალდებულები ვართ, გავაცხადოთ ეს ფაქტი. აღნიშნულთან დაკავშირებით გასაცხადებელი არაფერი გვაქვს.

ხელმძღვანელობის და სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.



**Building a better
working world**

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ გონივრული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ▶ ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების გონივრულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.



**Building a better
working world**

- ▶ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ▶ ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- ▶ მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი საწარმოებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სამეთვალყურეო საბჭოს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.



**Building a better
working world**

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- ▶ მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგებები, შესაბამისობაშია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებთან; და
- ▶ მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

ანა კუსრაშვილი

შპს „იუაის“ სახელით

თბილისი, საქართველო

2023 წლის 11 აპრილი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალის“ ხელმძღვანელობას, სამეთვალყურეო საბჭოს და პარტნიორებს

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნა

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ბათუმის ნავთობტერმინალისა“ (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი საწარმოს - შპს „ბათუმის საზღვაო ნავსადგურის“ (შემდგომში, ერთობლივად - „ჯგუფი“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობები ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის შესაბამისად (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით) (ბესსს-ის კოდექსი) და შესრულებული გვაქვს ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ჯგუფის 2022 წლის წლიურ ანგარიშში და მმართველობით ანგარიშგებაში ასახული სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია ჯგუფის 2022 წლის მმართველობით ანგარიშგებაში, გარდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა და ჩვენ მიერ მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა.

ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობით ანგარიშგებას და ჩვენ არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე გამოცემულ ჩვენს დასკვნაში.

ჩვენ მიერ ჩატარებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, ვალდებული ვართ, გავაცხადოთ ეს ფაქტი. აღნიშნულთან დაკავშირებით გასაცხადებელი არაფერი გვაქვს.

ხელმძღვანელობის და სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ გონივრული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენი:

- ▶ ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების გონივრულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- ▶ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ▶ ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- ▶ მოვიპოვეთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი საწარმოებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სამეთვალყურეო საბჭოს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- ▶ მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგებები, შესაბამისობაშია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებთან; და
- ▶ მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

ანა კუსრაშვილი
შპს „იუაის“ სახელით
თბილისი, საქართველო
2023 წლის 11 აპრილი


შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათას აშშ დოლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნები	2022	2021
ამონაგები	5	39,056	27,769
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	6	(26,254)	(19,761)
საერთო მოგება		12,802	8,008
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(5,274)	(4,314)
ძირითადი საშუალებების გაუფასურება	10	(1,046)	–
საოპერაციო შემოსავალი		6,482	3,694
ფინანსური შემოსავალი	8	480	292
ფინანსური დანახარჯები	8	(5,446)	(1,145)
ფინანსური ვალდებულებების მოდიფიცირებით			
განპირობებული შემოსულობა	16	17,312	4,350
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა ზარალი		(1,131)	(884)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	9	521	980
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	9	(890)	(1,485)
მოგება დაბეგრამდე		17,328	5,802
მოგების გადასახადის ხარჯი		–	–
წლის მოგება		17,328	5,802
სხვა სრული შემოსავალი			
სხვა სრული შემოსავალი, რომლის რეკლასიფიცირებაც არ			
ხდება მომდევნო პერიოდების მოგებაში ან ზარალში:			
ძირითადი საშუალებების გადაფასება		9,661	–
სხვა სრული შემოსავალი, რომლის რეკლასიფიცირებაც ხდება			
მომდევნო პერიოდების მოგებაში ან ზარალში			
საკურსო სხვაობა უცხოური ოპერაციების სხვა ვალუტაში			
გადაყვანისას		5,811	2,476
წლის მთლიანი სრული მოგება		32,800	8,278


ხელმძღვანელობის სახელით ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია 2023 წლის 11 აპრილს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი




ვარხაი თაშიბაიძე

მმართველი დირექტორი ეკონომიკისა და ფინანსების
მიმართულებით



ასფენდიარ ტურაროვი

მთავარი ბუღალტერი



თემირხან მამუკოვი

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათას აშშ დოლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნები	2022	2021
ამონაგები	5	39,056	27,769
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	6	(26,254)	(19,761)
საერთო მოგება		12,802	8,008
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(5,274)	(4,314)
ძირითადი საშუალებების გაუფასურება	10	(1,046)	–
საოპერაციო შემოსავალი		6,482	3,694
ფინანსური შემოსავალი	8	480	292
ფინანსური დანახარჯები	8	(5,446)	(1,145)
ფინანსური ვალდებულებების მოდიფიცირებით			
განპირობებული შემოსულობა	16	17,312	4,350
საკუროს სხვაობით განპირობებული წმინდა ზარალი		(1,131)	(884)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	9	521	980
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	9	(890)	(1,485)
მოგება დაზღვრამდე		17,328	5,802
მოგების გადასახადის ხარჯი		–	–
წლის მოგება		17,328	5,802
სხვა სრული შემოსავალი			
სხვა სრული შემოსავალი, რომლის რეკლასიფიცირებაც არ			
ხდება მომდევნო პერიოდების მოგებაში ან ზარალში:			
ძირითადი საშუალებების გადაფასება		9,661	–
სხვა სრული შემოსავალი, რომლის რეკლასიფიცირებაც ხდება			
მომდევნო პერიოდების მოგებაში ან ზარალში			
საკუროს სხვაობა უცხოური ოპერაციების სხვა ვალუტაში			
გადაყვანისას		5,811	2,476
წლის მთლიანი სრული მოგება		32,800	8,278

ხელმძღვანელობის სახელით ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია 2023 წლის 11 აპრილს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ფარხათ თაშიბაიევი

მმართველი დირექტორი ეკონომიკისა და ფინანსების
მიმართულებით

ასფენდიარ ტურაროვი

მთავარი ბუღალტერი

თემირხან მამეშოვი

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას აშშ დოლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნები	2022	2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	101,441	87,916
არამატერიალური აქტივები	11	3,238	2,551
საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნა	20.1	1,323	1,384
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნა	20.3	253	255
ძირითად საშუალებებზე გადახდილი ავანსები		47	160
სულ გრძელვადიანი აქტივები		106,302	92,266
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	12	2,983	3,021
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13	1,919	3,800
გადახდილი ავანსი		102	123
წინასწარ გადახდილი გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა		1,595	1,283
საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნა	20.1	680	680
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნა	20.3	1	1
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	14	17,160	6,772
სულ მოკლევადიანი აქტივები		24,440	15,680
სულ აქტივები		130,742	107,946
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	15	911	911
დამატებით შეტანილი კაპიტალი	15	115	115
გადაფასების რეზერვი	15	60,085	51,736
საკურსო სხვაობის რეზერვი		(17,974)	(23,785)
გაუნაწილებელი მოგება/(დაგროვილი ზარალი)		2,667	(15,973)
სულ საკუთარი კაპიტალი		45,804	13,004
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები და ნასესხები სახსრები		16,159	–
გადავადებული შემოსავალი	20.6	905	905
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		17,064	905
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სესხები და ნასესხები სახსრები	16	14,539	45,899
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	17	45,589	44,069
ანარიცხები	18	3,025	3,534
გადავადებული შემოსავალი	19	4,006	–
სხვა ვალდებულებები		715	535
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		67,874	94,037
სულ ვალდებულებები		84,938	94,942
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		130,742	107,946

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას აშშ დოლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	საწესდებო კაპიტალი	დამატებით შეტანილი კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	საკურო სხვაობის რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	სულ საკუთარი კაპიტალი
2020 წლის 31 დეკემბერი	911	115	53,106	(26,261)	(23,145)	4,726
წლის მოგება	–	–	–	–	5,802	5,802
სხვა სრული შემოსავალი	–	–	–	2,476	–	2,476
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	–	–	–	2,476	5,802	8,278
გაყიდული ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვის შემცირება	–	–	(152)	–	152	–
ცვეთის გადატანა	–	–	(1,218)	–	1,218	–
2021 წლის 31 დეკემბერი	911	115	51,736	(23,785)	(15,973)	13,004
წლის მოგება	–	–	–	–	17,328	17,328
სხვა სრული შემოსავალი	–	–	9,661	5,811	–	15,472
მთლიანი სრული შემოსავალი	–	–	9,661	5,811	17,328	32,800
გაყიდული ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვის შემცირება	–	–	(26)	–	26	–
ცვეთის გადატანა	–	–	(1,286)	–	1,286	–
2022 წლის 31 დეკემბერი	911	115	60,085	(17,974)	2,667	45,804

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათას აშშ დოლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნები	2022	2021
საოპერაციო საქმიანობა			
მოგება დაბეგვრამდე		17,328	5,802
არაფულადი კორექტირებები დაბეგვრამდე ზარალის წმინდა ფულად ნაკადებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით			
ცვეთა და ამორტიზაცია	10,11	4,186	3,764
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	13	643	(396)
ძირითადი საშუალებების გაუფასურების ხარჯი	10	1,046	–
ფინანსური ვალდებულებების მოდიფიცირებით განპირობებული შემოსულობა	16	(17,312)	(4,350)
მოძრაობა ანარიცხებში	18	(509)	(275)
ძირითადი საშუალებების გასვლასთან დაკავშირებული დანაკარგები		228	118
საკუროს სხვაობით განპირობებული წმინდა ზარალი საფინანსო და საინვესტიციო საქმიანობებში		359	449
ფინანსური დანახარჯები	8	5,446	1,145
ფინანსური შემოსავალი	8	(480)	(292)
საბრუნავი კაპიტალში შესული ცვლილებები			
ცვლილება მარაგებში		145	2,099
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		(868)	(2,178)
ცვლილება საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებულ მოთხოვნაში		336	177
ცვლილება გადახდილ ავანსებში		4	(46)
ცვლილება გადასახადებში, მოგების გადასახადის გარდა		(150)	2
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		3,139	1,501
ცვლილება გადავადებულ შემოსავალში		4,006	–
ცვლილება სხვა ვალდებულებებში		161	(858)
		17,708	6,662
გადახდილი პროცენტი		–	–
მიღებული პროცენტი		441	254
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		18,149	6,916
საინვესტიციო საქმიანობა			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(4,405)	(4,802)
არამატერიალური აქტივების შეძენა		(414)	(31)
ფინანსური იჯარიდან მიღებული ფულადი სახსრები		39	–
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(4,780)	(4,833)
საფინანსო საქმიანობა			
ნასესხები სახსრების დაფარვა	22	(3,333)	–
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(3,333)	–
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა წმინდა საკუროს სხვაობები		10,036	2,083
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვარს	14	6,772	4,524
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბერს	14	17,160	6,772

5-41 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

1. კორპორაციული ინფორმაცია

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“ (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოს ქალაქ ბათუმში დაფუძნებული და მოქმედი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის ოფიციალური მისამართია მაიაკოვსკის ქ. 4, ბათუმი, საქართველო.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს კომპანიის და მისი შვილობილი საწარმოს („ჯგუფი“) კონსოლიდირებულ ფინანსურ ინფორმაციას. კომპანია კონტროლს ახორციელებს თავის შვილობილ საწარმოზე შპს „ბათუმის საზღვაო ნავსადგურზე“ (შემდგომში „ბათუმის საზღვაო ნავსადგური“) 49-წლიანი ვადით, ბათუმის საზღვაო ნავსადგურში სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილის მართვის ექსკლუზიური უფლების გადაცემის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც 2006 წლის 22 ივლისს გაფორმდა.

სს „ყაზტრანსოილი“ (შემდგომში „მშობელი საწარმო“ ან „ყაზტრანსოილი“) ჯგუფის ერთპიროვნული მფლობელია. მშობელი საწარმო ყაზახეთში მდებარეობს. ჯგუფის საბოლოო მაკონტროლებელი მხარე (შემდგომში „საბოლოო მშობელი საწარმო“) არის ყაზახეთის სახელმწიფო ფონდი „Samruk-Kazyna National Welfare Fund“, რომელსაც ფლობს და აკონტროლებს ყაზახეთის რესპუბლიკის მთავრობა.

ჯგუფი ფლობს და მართავს საქართველოში, ქალაქ ბათუმში მდებარე მრავალფუნქციურ საზღვაო ნავსადგურს (შემდგომში „ბათუმის საზღვაო ნავსადგური“). ბათუმის საზღვაო ნავსადგური მოიცავს ნავთობტერმინალებს, საკონტეინერო ტერმინალს, სანავმისადგომო კომპლექსს ბორნების მომსახურებისათვის, მშრალი ტვირთების ტერმინალს და სამგზავრო ტერმინალებს. მშრალი ტვირთების, ნავთობის და სამგზავრო ტერმინალებს, ასევე სანავსადგურო მომსახურებას ჯგუფი მართავს. საკონტეინერო და საბორნე ტერმინალები იჯარით არის გადაცემული სხვა ოპერატორებზე (იხ. მე-20 შენიშვნა).

ჯგუფის 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ჯერ არ დამტკიცებულია პარტნიორთა მიერ პარტნიორთა კრებაზე. პარტნიორთა კრების ჩატარება იგეგმება საანგარიშგებო პერიოდის მომდევნო წლის პირველ ნახევარში.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1 მომზადების საფუძველი

ჯგუფის წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჟოს („ბასს“) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესით, გარდა იმ ძირითადი საშუალებებისა, რომლებიც წარმოდგენილია გადაფასებული ღირებულებით.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.1 მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

უკრაინაში მიმდინარე ომის ეფექტი

2022 წლის თებერვალში უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ რუსული რუბლი უცხოურ ვალუტებთან მიმართებით მნიშვნელოვნად გაუფასურდა, ასევე გაუფასურდა რუსული ფასიანი ქაღალდების ბაზრების და სხვა ბაზრებზე რეგისტრირებული რუსული კომპანიების ღირებულება. სიტუაცია ჯერ კიდევ ვითარდება, თუმცა უკვე გამოიწვია ჰუმანიტარული კრიზისი და უზარმაზარი ეკონომიკური ზარალი უკრაინაში, რუსეთსა და დანარჩენ მსოფლიოში. უკრაინა და რუსეთი საქართველოს მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორები არიან. მოსალოდნელია, რომ ომს უარყოფითი გავლენა ექნება საქართველოს ეკონომიკაზე. ვინაიდან ომი ჯერაც მიმდინარეობს, შეუძლებელია იმის სარწმუნოდ შეფასება, თუ როგორ აისახება ეს ჯგუფის საქმიანობაზე, ასევე გაურკვეველია, რა მასშტაბის გავლენას მოახდენს ის ზოგადად ეკონომიკაზე. ჯგუფის ხელმძღვანელობა თვალს ადევნებს ეკონომიკურ ვითარებას შექმნილ გარემოში.

2.2 კონსოლიდაციის საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიისა და მისი შვილობილი საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც კომპანია იღებს, ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება და შეუძლია ამ უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო.

კერძოდ, ჯგუფი აკონტროლებს ინვესტიციის ობიექტს მხოლოდ მაშინ, როდესაც:

- ▶ ჯგუფს აქვს ინვესტირებულ საწარმოზე ზეგავლენა (ანუ ამჟამინდელი უფლებები მას საშუალებას აძლევს ინვესტირებული საწარმოს რელევანტური საქმიანობა მართოს),
- ▶ ის იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტირებულ საწარმოში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება,
- ▶ შეუძლია უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტირებულ საწარმოზე თავისი გავლენის გამო.

გავრცელებული მოსაზრებით, ხმის უფლების მქონე აქციების უმრავლესობა კონტროლის უფლებას იძლევა. ამ მოსაზრების გასამყარებლად, თუ ჯგუფი ინვესტიციის ობიექტში ფლობს ხმის ან სხვა მსგავსი უფლების უმრავლეს ნაწილზე ნაკლებს, იმის შეფასებისას, ინვესტიციის ობიექტზე აქვს თუ არა გავლენა, ჯგუფი ყველა აქტუალურ ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

- ▶ სახელშეკრულებო შეთანხმება (შეთანხმებები) ინვესტიციის ობიექტში ხმის უფლების მქონე სხვა პირებთან,
- ▶ სხვა სახელშეკრულებო შეთანხმებებიდან მიღებული უფლებები,
- ▶ ჯგუფის ხმის უფლებებს და პოტენციური ხმის უფლებებს.

ჯგუფი ხელახლა შეაფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტირებულ საწარმოს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებებია მომხდარი. შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც ჯგუფი მოიპოვებს მასზე კონტროლს და წყდება მაშინ, როდესაც ჯგუფი კარგავს ამგვარ კონტროლს. შვილობილი საწარმოს წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული აქტივები, ვალდებულებები, შემოსავალი და ხარჯები აისახება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში შვილობილ საწარმოზე ჯგუფის მიერ კონტროლის შეძენის თარიღიდან კონტროლის დაკარგვის თარიღამდე.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.2 კონსოლიდაციის საფუძველი (გაგრძელება)

შვილობილი საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება, საოპერაციო საქმიანობის შედეგები და ფულადი ნაკადები მზადდება იმავე საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომლისთვისაც კომპანიის ანგარიშგება, შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებით. ჯგუფის წევრებს შორის შემდგომ გარიგებებთან დაკავშირებული ყველა ჯგუფის შიდა აქტივი და ვალდებულება, საკუთარი კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას მთლიანად გაიქვითება.

შვილობილი საწარმოს საკუთრების წილის ცვლილება, კონტროლის დაკარგვის გარეშე წილობრივი გარიგების სახით აღირიცხება.

თუ ჯგუფი დაკარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე, იგი წყვეტს შესაბამისი აქტივების, ვალდებულებების და საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტების აღიარებას, ხოლო შედეგად მიღებულ შემოსულობას ან ზარალს აღიარებს მოგებაში ან ზარალში. ნებისმიერი შენარჩუნებული ინვესტიციის აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით.

კომპანია ბათუმის საზღვაო ნავსადგურს აკონტროლებს მართვის უფლების ექსკლუზიური ხელშეკრულებით, რომელიც 2006 წლის 22 ივლისს არის გაფორმებული (შემდგომში „მართვის ხელშეკრულება“). მართვის ხელშეკრულება კომპანიას სრულ უფლებამოსილებას ანიჭებს 2055 წლამდე მართოს და განახორციელოს ბათუმის საზღვაო ნავსადგურის ფუნქციონირება და ამ პერიოდის განმავლობაში აქვს ბათუმის საზღვაო ნავსადგურის მოგების მიღების უფლება. კომპანიას შეზღუდული აქვს უძრავი ქონების გასხვისების და/ან დაგირავების უფლება, რომლის წმინდა სააღრიცხვო ღირებულება აღემატება 500 აშშ დოლარს, ასევე ბათუმის საზღვაო ნავსადგურის ლიკვიდაციის, შერყმის, გაყოფის და/ან რეორგანიზაციის უფლება საქართველოს სახელმწიფოსგან წერილობითი თანხმობის გარეშე; ვალდებულია შეინარჩუნოს ნავსადგურის საქმიანობების გარკვეული დონე (20.5 შენიშვნა).

2.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

(ა) უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაციები

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია აშშ დოლარში, რომელიც ასევე არის კომპანიის სამუშაო ვალუტა, თუ სხვა ვალუტა არ არის მითითებული. ბათუმის საზღვაო ნავსადგურის სამუშაო ვალუტა ქართული ლარია (შემდგომში „ლ“). აშშ დოლარში წარმოდგენილი ყოველგვარი ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია ათასამდე.

უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციები თავიდან ჯგუფის საწარმოების მიერ აღირიცხება მათ შესაბამის სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის აღიარების დღეს არსებული სპოტ-კურსით.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ხელახლა კონვერტაცია ხდება ანგარიშგების დღეს არსებული სამუშაო ვალუტის სპოტ-კურსით. სხვაობები აღიარებულია კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

არაფულადი მუხლების გადაანგარიშება, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით. არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, კონვერტირდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როცა მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ა) უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაციები (გაგრძელება)

კონსოლიდაციისას საზღვარგარეთ განხორციელებული ოპერაციების აქტივები და ვალდებულებები აშშ დოლარში გადაიყვანება საანგარიშგებო თარიღისთვის მოქმედი სავალუტო კურსით, ხოლო მათი მოგება-ზარალის ანგარიშგება გადაიყვანება იმ სავალუტო კურსებით, რომლებიც მოქმედებს შესაბამისი ოპერაციების დღეს. კონსოლიდაციისთვის აუცილებელი კონვერტაციის შედეგად მიღებული საკურსო სხვაობების აღიარება ხდება სხვა სრულ შემოსავალში.

(ბ) აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

ჯგუფი აქტივებსა და ვალდებულებებს კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში,
- ▶ მისი ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა,
- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება საანგარიშგებო პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან
- ▶ აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში,
- ▶ მისი ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა,
- ▶ დასაფარია საანგარიშგებო პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან
- ▶ საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას ჯგუფი „გრძელვადიანის“ კატეგორიას მიაკუთვნებს.

(გ) ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან და სხვა შემოსავლები

მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საქონელზე ან მომსახურებაზე კონტროლი გადაეცემა მომხმარებელს იმ ოდენობით, რაც შეესაბამება ანაზღაურებას, რომლის მიღებასაც ჯგუფი მოელის ამ საქონლის და მომსახურების სანაცვლოდ.

ჯგუფი ამონაგებთან დაკავშირებულ თავის შეთანხმებებს სპეციალურ კრიტერიუმებს ადარებს, რათა განსაზღვროს ამ შეთანხმებებში იგი მარწმუნებელ თუ აგენტ მხარედ გამოდის. ჯგუფმა დაასკვნა, რომ ის მოქმედებს მარწმუნებლის სახით ამონაგების მომტან გარიგებებში (რადგან ის, ჩვეულებრივ, აკონტროლებს საქონელს და მომსახურებას მათი მომხმარებლისთვის გადაცემამდე).

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(გ) ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან და სხვა შემოსავლები (გაგრძელება)

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ჯგუფი ზოგადად აღიარებს შემდეგი ტიპის ამონაგებს:

გადატვირთვის და სანავსადგურო მომსახურებები

ამონაგები მშრალი ტვირთის გადატვირთვის და სანავსადგურო მომსახურებებიდან აღიარდება საანგარიშგებო პერიოდში ტრანსპორტირებული მშრალი ტვირთის ფაქტობრივი მოცულობის და გაწეული სანავსადგურო მომსახურების საფუძველზე.

ამონაგები სასაწყობე მომსახურებიდან

ამონაგები სასაწყობე მომსახურებებიდან ხელშეკრულებაში განსაზღვრულ კონკრეტულ საფასურს წარმოადგენს და აღიარდება შესაბამისი მომსახურებების დასრულებისას შესასრულებელი მოვალეობების დაკმაყოფილებისთანავე.

საიჯარო შემოსავალი

საოპერაციო იჯარიდან მიღებული საიჯარო შემოსავალი აღირიცხება წრფივი მეთოდით იჯარის ვადაზე და, თავისი საოპერაციო ხასიათის გამო, კონსოლიდირებულ მოგება-ზარალში აისახება ამონაგების მუხლში.

საპროცენტო შემოსავალი

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ყველა ფინანსური ინსტრუმენტის შემთხვევაში, საპროცენტო შემოსავალი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით (EIR), რომელიც ზუსტად ახორციელებს მომავალში მოსალოდნელი შემომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან უფრო მოკლე პერიოდის განმავლობაში, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური აქტივის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. საპროცენტო შემოსავალი შესულია კონსოლიდირებულ მოგება ან ზარალში ფინანსური შემოსავლის მუხლში.

სახელშეკრულებო აქტივები

სახელშეკრულებო აქტივი წარმოადგენს უფლებას მომხმარებლისთვის გადაცემული საქონლის ან მომსახურებების სანაცვლოდ მისაღებ საფასურზე. თუ ჯგუფი მომხმარებელს საქონელს ან მომსახურებას გადასცემს მომხმარებლის მიერ ანაზღაურების გადახდამდე ან გადახდის თარიღის დადგომამდე, სახელშეკრულებო აქტივის აღიარება ხდება პირობითად მიღებული ანაზღაურებისთვის. 2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფი არ ფლობს სახელშეკრულებო აქტივებს.

სავაჭრო მოთხოვნები

მოთხოვნების აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებლისგან უპირობოდ მიიღება საზღაურის თანხა (ე.ი. მხოლოდ დროის გასვლაა საჭირო საზღაურის გადახდის თარიღის დადგომამდე).

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(გ) ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან და სხვა შემოსავლები (გაგრძელება)

სახელშეკრულებო ვალდებულებები

სახელშეკრულებო ვალდებულებების აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებლისგან გადახდა მიიღება ან გადახდის ვადა დადგება (რომელიც უფრო ადრე მოხდება) ჯგუფის მიერ შესაბამისი საქონლის ან მომსახურების გადაცემამდე. სახელშეკრულებო ვალდებულებების აღიარება ხდება ამონაგებად მაშინ, როდესაც ჯგუფი გასწევს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას.

სხვა ამონაგები მოიცავს საიჯარო და ფინანსურ შემოსავალს, რომლებიც ფასს (IFRS) 15-ის („ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“) მიხედვით არ წარმოადგენს ამონაგებს მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან.

(დ) გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. დივიდენდებზე გადაიხდება მოგების გადასახადი და ის დაირიცხება იმ აქციონერებზე დივიდენდებზე განაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები არიან საქართველოში. გადასახადი დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით, იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად გადახდის ფაქტიური თარიღისა ან იმ პერიოდისა, როდესაც დივიდენდები გადაიხდება. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო ვალდებულებებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. ჯგუფის აქციონერებზე დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი კონსოლიდირებულ საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია საკუთარი კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და აღირიცხება, როგორც სხვა გადასახადები სხვა არასაოპერაციო ხარჯებში კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(დ) გადასახადები (გაგრძელება)

დამატებული ღირებულების გადასახადი

ამონაგების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევებისა:

- ▶ როდესაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე,
- ▶ როდესაც მოთხოვნები და ვალდებულებები მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოსგან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადის წმინდა თანხა კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება, როგორც წინასწარ გადახდილი გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა, ან როგორც საგადასახადო ვალდებულება, მოგების გადასახადის გარდა. საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების ნეტო საფუძველზე წარმოდგენა.

საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების ნეტო საფუძველზე წარმოდგენა

2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები გადასახადის გადახდის წესებთან დაკავშირებით. ახალი წესების მიხედვით, საქართველოს შემოსავლების სამსახური გააკონტროლებს გადასახადის გადამხდელის ნეტო (წმინდა) დავალიანებას სახელმწიფოს მიმართ გადასახადის გადამხდელის კონსოლიდირებული ანგარიშის დანერგვით. ამიტომ ჯგუფი ყველა საგადასახადო ვალდებულებასთან და მოთხოვნასთან დაკავშირებულ აქტივებს და ვალდებულებებს ნეტო საფუძველზე წარმოადგენს.

(ე) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ფასდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გადაფასების თარიღის შემდეგ აღიარებული გაუფასურების ზარალი. შეფასება ხდება საკმარისი სიზშირით, რომ გადაფასებული აქტივის სამართლიანი ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს მისი საბალანსო ღირებულებისგან.

როდესაც ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის პერიოდული შეცვლა ხდება აუცილებელი, ჯგუფი ასეთ ნაწილებს აღიარებს დამოუკიდებელ აქტივად კონკრეტული სასარგებლო მომსახურების ვადით და შესაბამისად აღრიცხავს ცვეთას. ყველა დანარჩენი რემონტისა და ტექმომსახურების დანახარჯი გაწევისთანავე აისახება კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში.

სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებით, ან ბაზრის სხვა მონაწილისათვის მიყიდვით, რომელიც ამ აქტივს საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენებს.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ე) ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

გადაფასების ყოველგვარი ნამეტი მიეკუთვნება აქტივების გადაფასების რეზერვს და შედის კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების საკუთარი კაპიტალის ნაწილში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იგი აუქმებს ამავე აქტივის გადაფასების შედეგად შემცირებულ ღირებულებას, რომელიც მანამდე ხარჯად იყო აღიარებული. ასეთ შემთხვევაში ღირებულების გაზრდის აღიარება ხდება გადაფასების შედეგად მიღებული შემოსულობის სახით. გადაფასების დეფიციტის აღიარება ხდება ხარჯის სახით გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იგი გადაფარავს იმავე აქტივზე არსებულ ნამეტს, რომელიც აღიარებულია აქტივის გადაფასების რეზერვში.

აქტივების გადაფასების რეზერვიდან წლიური გადატანა გაუნაწილებელ მოგებაზე ხდება აქტივების გადაფასებული საბალანსო ღირებულების ცვეთასა და აქტივების თავდაპირველი თვითღირებულების ცვეთას შორის სხვაობით. გარდა ამისა, გადაფასების თარიღისთვის დაგროვილი ცვეთა ჩამოიწერება აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულებიდან და წმინდა ღირებულების გადაანგარიშება ხდება აქტივის გადაფასებულ ღირებულებამდე. გასხვისებისას, გაყიდულ, იჯარით გაცემულ ან ლიკვიდირებულ კონკრეტულ აქტივთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაფასების რეზერვი გადაიტანება გაუნაწილებელ მოგებაზე.

ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდით აქტივების სასარგებლო მომსახურების სავარაუდო ვადაზე შემდეგნაირად:

	სასარგებლო მომსახურების ვადა
მიწის გაუმჯობესება	1-65 წელი
შენობები და ნაგებობები	1-50 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	1-15 წელი
მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა	1-40 წელი
სხვა	25 წლამდე

აქტივების ცვეთა იწყება მათი შეძენის მომდევნო თვიდან, ან, საწარმოს მიერ შექმნილი აქტივების შემთხვევაში, აქტივის დასრულებისა და ექსპლუატაციაში მიღების წლიდან. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) შედის კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც ხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა.

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები ყოველწლიურად გადაისინჯება და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისად კორექტირდება.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ვ) იჯარა

ხელშეკრულების გაფორმებისას ჯგუფი აფასებს ხელშეკრულება წარმოადგენს ან მოიცავს თუ არა იჯარას. ეს იმას ნიშნავს, გადასცემს თუ არა ხელშეკრულება იდენტიფიცირებული აქტივების სარგებლობის კონტროლის უფლებას დროის კონკრეტულ მომენტში, საზღაურის სანაცვლოდ.

ჯგუფი, როგორც მოიჯარე:

ჯგუფი იყენებს ერთი აღიარების და შეფასების მიდგომას ყველა იჯარისთვის, გარდა მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებისა. ჯგუფი აღიარებს იჯარასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს, რომ განახორციელოს საიჯარო გადახდები და აანაზღაუროს აქტივის გამოყენების უფლება, რომლებიც წარმოადგენს საიჯარო აქტივების გამოყენების უფლებას.

i) აქტივის გამოყენების უფლება

ჯგუფი აქტივის გამოყენების უფლებას აღიარებს იჯარის ვადის დაწყების თარიღში (ე.ი. თარიღში, როცა საიჯარო აქტივი ხელმისაწვდომი იქნება გამოსაყენებლად). აქტივის გამოყენების უფლება თვითღირებულებით ფასდება, რასაც აკლდება ნებისმიერი დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი და იცვლება საიჯარო ვალდებულებების ნებისმიერი ხელახალი შეფასების მიხედვით. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს აღიარებული საიჯარო ვალდებულებების, თავდაპირველად გაწეული პირდაპირი ხარჯების და დაწყების თარიღში ან ამ თარიღამდე განხორციელებული საიჯარო გადახდების თანხას, ნებისმიერი მიღებული იჯარის წამახალისებელი გადახდების გამოკლებით. აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდის გამოყენებით, საიჯარო ვადასა და აქტივების სასარგებლო მომსახურების სავარაუდო ვადის განმავლობაში. თუ საიჯარო აქტივის საკუთრების უფლება გადადის ჯგუფზე საიჯარო პერიოდის ბოლოს ან თვითღირებულება ასახავს შესყიდვის ოფციონის აღსრულებას, ცვეთის დაანგარიშება ხდება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის გამოყენებით. ჯგუფს არ აქვს ამგვარი საიჯარო ხელშეკრულებები. აქტივის გამოყენების უფლება ასევე გაუფასურებას ექვემდებარება. იხილეთ სააღრიცხვო პოლიტიკა 2.2 ნაწილში - არაფინანსური აქტივების გაუფასურება.

ii) საიჯარო ვალდებულებები:

იჯარის ვადის დაწყების თარიღში ჯგუფი აღიარებს საიჯარო ვალდებულებებს, რომლებიც იჯარის ვადის განმავლობაში საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულებით ფასდება. საიჯარო გადახდები მოიცავს ფიქსირებულ თანხებს (მათ შორის არსებითად ფიქსირებულ გადასახდელებს), რასაც აკლდება ნებისმიერი იჯარის წამახალისებელი გადახდების მოთხოვნა, ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც განაკვეთზე ან კოეფიციენტზეა დამოკიდებული და თანხები, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიის საფუძველზე. საიჯარო გადახდები ასევე მოიცავს შესყიდვის ოფციონის აღსრულების ფასს, რომელიც გონივრულ ფარგლებში მიიჩნევა ჯგუფის მიერ გამოყენებულად და ჯარიმების გადახდებს იჯარის შეწყვეტისთვის, თუ იჯარის ვადა ასახავს ჯგუფს, რომელიც იყენებს ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებას. ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც არ არის დამოკიდებული ინდექსზე ან განაკვეთზე აღიარდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც წარმოიშვება ისეთი ვითარება ან სიტუაცია, რომელიც გადახდას იწვევს.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ვ) იჯარა (გაგრძელება)

საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების დაანგარიშებისას, ჯგუფი იყენებს ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს იჯარის ვადის დაწყების თარიღში, რადგან იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი მარტივად ვერ განისაზღვრება. იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ, საიჯარო ვალდებულებების თანხა გაიზრდება, პროცენტის გაზრდის ასახვის მიზნით, და შემცირდება - განხორციელებული საიჯარო გადახდებისთვის.

iii) მოკლევადიანი იჯარა და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარა:

ჯგუფი იყენებს მოკლევადიანი იჯარის აღიარებისგან განთავისუფლებას მის მოკლევადიან იჯარებზე (ე.ი. იჯარებზე, რომლებსაც აქვთ იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან 12- ან ნაკლებთვიანი საიჯარო ვადა და არ მოიცავენ შესყიდვის ოფციონს). ის ასევე ეხება დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარის აღიარებისგან განთავისუფლებას, იჯარებზე, რომლებიც დაბალფასიანად მოიაზრებიან. საიჯარო გადახდები მოკლევადიან იჯარაზე და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარა აღიარდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე წრფივი მეთოდის გამოყენებით.

ჯგუფი, როგორც მემკვიდრე:

იჯარა, რომელშიც ჯგუფი არ გადასცემს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკს და სარგებელს, საოპერაციო იჯარად კლასიფიცირდება. მიღებული საიჯარო შემოსავალი აღირიცხება წრფივი მეთოდით იჯარის ვადაზე და, თავისი საოპერაციო ხასიათის გამო, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება ამონაგების მუხლში. საოპერაციო იჯარის პირობებზე მოლაპარაკებისას გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას ემატება და მათი აღიარება ხდება იჯარის ვადაზე იმავე წესით, როგორც საიჯარო შემოსავალი. პირობითი საიჯარო ქირის აღიარება ხდება ამონაგების სახით იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მისი მიღება.

(ზ) ფინანსური ინსტრუმენტები – საწყისი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორესთვის - ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

(i) ფინანსური აქტივები

საწყისი აღიარება და შეფასება

საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიცირება ხდება როგორც შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ზ) ფინანსური ინსტრუმენტები – საწყისი აღიარება და შემდგომი შეფასება (გაგრძელება)

(i) ფინანსური აქტივები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია საწყისი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და ჯგუფის ბიზნესმოდელზე, რომლითაც მათ მართავს. სავაჭრო მოთხოვნების გარდა, რომლებიც არ მოიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს ან რომლისთვისაც ჯგუფი პრაქტიკულ გამოცდილებას იყენებს, ჯგუფი ფინანსურ აქტივებს თავდაპირველად აფასებს მისი სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება გარიგების დანახარჯები იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივი არ არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით. სავაჭრო მოთხოვნა, რომელიც არ მოიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, ან რომლისთვისაც ჯგუფმა პრაქტიკულ გამოცდილებას მიმართა, ფასდება ფასს (IFRS) 15-ით „ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“ განსაზღვრული გარიგების ფასით.

იმისათვის, რომ მოხდეს ფინანსური აქტივის კლასიფიცირება და შეფასება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იგი უნდა წარმოქმნიდეს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს“ (SPPI) დაუფარავ ძირითად თანხაზე. ამ შეფასებას ეწოდება SPPI-ტესტირება, რომელიც ინსტრუმენტის დონეზე სრულდება.

ჯგუფის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელი ეხება იმას, თუ როგორ მართავს ის თავის ფინანსურ აქტივებს ფულადი ნაკადების გამოსამუშავებლად. ეს ბიზნესმოდელი განსაზღვრავს, მიიღება თუ არა ფულადი ნაკადები სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების, ფინანსური აქტივების გაყიდვის ან ორივეს შედეგად. ამორტიზებული ღირებულებით კლასიფიცირებული ან შეფასებული ფინანსური აქტივები ამ ბიზნესმოდელის მიხედვით მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით.

ფინანსური აქტივების ისეთი ყიდვა-გაყიდვა, როდესაც საჭიროა მათი ჩაბარება ნორმატიული აქტებით ან ბაზარზე დამკვიდრებული პრაქტიკით (გარიგების სტანდარტული პროცედურა) გათვალისწინებულ ვადაში, აღირიცხება გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც ჯგუფი იღებს აქტივის შესყიდვის ან გაყიდვის ვალდებულებას.

ჯგუფის ფინანსური აქტივები მოიცავს თანხებს საკრედიტო ინსტიტუტებში და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ზ) ფინანსური ინსტრუმენტები – საწყისი აღიარება და შემდგომი შეფასება (გაგრძელება)

შემდგომი შეფასება

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა:

- ▶ ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (სავალო ინსტრუმენტი),
- ▶ სხვა სრულ შემოსავალში ასახვით სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები დაგროვილი შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით (სავალო ინსტრუმენტები),
- ▶ სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას, დაგროვილი შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე (წილობრივი ინსტრუმენტი),
- ▶ მოგება-ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები.

ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით

ეს კატეგორია ჯგუფისთვის ყველაზე აქტუალურია. ჯგუფი ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს თუ დაკმაყოფილებული იქნება ქვემოთ მოცემული ორივე პირობა:

- ▶ ფინანსური აქტივი ამ ბიზნესმოდელის მიხედვით მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით; და
- ▶ ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ ძირითად თანხაზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდგომ ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით (EIR) და ექვემდებარება გაუფასურებას. შემოსულობა და ზარალი მოგება-ზარალში აღიარდება მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის მოდიფიცირება ან გაუფასურება.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ▶ ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების ვადა; ან
- ▶ ჯგუფმა დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) ჯგუფმა გადასცა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) ჯგუფმა არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ზ) ფინანსური ინსტრუმენტები – საწყისი აღიარება და შემდგომი შეფასება (გაგრძელება) *აღიარების შეწყვეტა (გაგრძელება)*

თუ ჯგუფმა გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა ხელშეკრულება ამაზე, და არც გადაუცია და არც დაუტოვებია აქტივთან დაკავშირებული ძირითადი რისკები და სარგებელი, და არც კონტროლი გადაუცია აქტივზე, ჯგუფის მიერ აქტივის აღიარება ხდება მონაწილეობის შენარჩუნების პირობით. ასეთ შემთხვევაში ჯგუფი მასთან დაკავშირებულ ვალდებულებასაც აღიარებს. გადაცემული აქტივი და მასთან დაკავშირებული ვალდებულება ფასდება ჯგუფის მიერ შენარჩუნებული უფლება-მოვალეობების საფუძველზე.

მონაწილეობის შენარჩუნება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და ჯგუფის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია შემდეგ შენიშვნებში:

- ▶ განმარტებითი შენიშვნები მნიშვნელოვანი დაშვებების შესახებ (მე-3 შენიშვნა)
- ▶ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (მე-13 შენიშვნა)

ჯგუფმა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი უნდა აღრიცხოს ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ყველა სავალო ფინანსურ აქტივზე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეყრდნობა სხვაობას ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ფულად ნაკადებსა და ჯგუფის ყველა მოსალოდნელ ფულად ნაკადს შორის, და დისკონტირებულია თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთთან მიახლოებული განაკვეთით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის ჯგუფი იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, ჯგუფი ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის. ჯგუფმა შეადგინა ანარიცხების მატრიცა, რომელიც ეყრდნობა საკრედიტო ზარალის წარსულ გამოცდილებას და დაკორექტირებულია დებიტორებისა და ეკონომიკური გარემოსთვის დამახასიათებელი პერსპექტიული ფაქტორების შესაბამისად.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტებისთვის ჯგუფმა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დაიანგარიშა 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე. 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, რომელიც იწვევს დეფოლტის შემთხვევებს ფინანსურ ინსტრუმენტზე და რომლებიც შესაძლოა დადგეს საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. თუმცა, როდესაც წარმოშობის თარიღის შემდგომ ადგილი აქვს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, რეზერვი დაეფუძნება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდს.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ზ) ფინანსური ინსტრუმენტები – საწყისი აღიარება და შემდგომი შეფასება (გაგრძელება)

(ii) ფინანსური ვალდებულებები

საწყისი აღიარება და შეფასება

საწყისი აღიარებისას ფინანსური ვალდებულებები ნაწილდება შემდეგ კატეგორიებში: სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულება მოგებაში ან ზარალში ასახვით, სესხები და ნასესხები სახსრები, ვალდებულებები ან წარმოებული ვალდებულებები, რომლებიც განისაზღვრება ჰეჯირების ინსტრუმენტებად ეფექტური ჰეჯირების განხორციელების დროს, ვითარებიდან გამომდინარე.

ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით და, სესხების, ნასესხები სახსრებისა და ვალდებულებების შემთხვევაში, ემატება მათთვის პირდაპირ მიკუთვნებადი საოპერაციო დანახარჯები.

ჯგუფის ყველა ფინანსური ვალდებულება 2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიეკუთვნება სესხებისა და ნასესხები სახსრების კატეგორიას და მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და სესხებსა და ნასესხებ სახსრებს.

შემდგომი შეფასება

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური ვალდებულებები ოთხ კატეგორიად იყოფა:

- ▶ სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულება მოგებაში ან ზარალში ასახვით,
- ▶ ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულება (სესხები და ნასესხები სახსრები) ეს არის ჯგუფისთვის ყველაზე რელევანტური კატეგორია.

საწყისი აღიარების შემდეგ ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით ფასდება, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის დროს, აგრეთვე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ამორტიზაციის პროცესში.

ამორტიზებული ღირებულება დაანგარიშდება შესყიდვის ყოველგვარი დისკონტის ან პრემიის, აგრეთვე იმ საზღაურების თუ დანახარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ამორტიზაცია აისახება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალში ფინანსური დანახარჯების ნაწილში.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება. როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლდება სხვა ვალდებულებით იმავე გამსესხებლის წინაშე, რომელსაც მეტწილად განსხვავებული პირობები აქვს ან თუ არსებული ვალდებულების პირობები მეტწილად შეიცვლება, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება აღირიცხება, როგორც საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო განსხვავება შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აისახება კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ზ) ფინანსური ინსტრუმენტები – საწყისი აღიარება და შემდგომი შეფასება (გაგრძელება)

(iii) ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა მოხდება და წმინდა თანხა აისახება კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, თუ არსებული კანონი იძლევა აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის უფლებას და არსებობს აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგაქვითვის ან ერთდროულად აქტივის გაყიდვისა და ვალდებულებების დაფარვის სურვილი.

(iv) სამართლიანი ღირებულების შეფასება

ჯგუფი ფინანსურ ინსტრუმენტებს და არაფინანსურ აქტივებს, მაგალითად ძირითად საშუალებებს, აფასებს სამართლიანი ღირებულებით ბალანსის ყოველი თარიღისთვის.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად, ბაზრის მონაწილეებს შორის ნებაყოფლობითი ოპერაციის პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულების შეფასება ეყრდნობა იმ ვარაუდს, რომ ადგილი აქვს აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგებას:

- ▶ აქტივის ან ვალდებულების ძირითად ბაზარზე, ან
- ▶ ძირითადი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

ძირითადი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი ჯგუფისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით.

არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებით, ან ბაზრის სხვა მონაწილისათვის მიყიდვით, რომელიც ამ აქტივს საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენებს.

ჯგუფი ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძებნება, და რომლებშიც მაქსიმალურად გამოიყენება ემპირიული და მინიმალურად - არაემპირიული ამოსავალი მონაცემები.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ზ) ფინანსური ინსტრუმენტები – საწყისი აღიარება და შემდგომი შეფასება (გაგრძელება)

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან წარმოდგენილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემების საფუძველზე, რომელიც მთლიანობაში მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისას:

- ▶ 1-ლი დონე – იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიური ბაზრების კოტირებული ფასები (გაუკორექტირებელი);
- ▶ მე-2 დონე - შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა;
- ▶ მე-3 დონე - შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის განსაზღვრა.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების იერარქიის ერთი დონიდან მეორეში გადასვლის ფაქტს ჯგუფი განსაზღვრავს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე) ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

სამართლიანი ღირებულების შესახებ განმარტებითი შენიშვნის მიზნებისთვის, ჯგუფმა აქტივების და ვალდებულებების კლასი განსაზღვრა აქტივის ან ვალდებულების ხასიათის, თვისებებისა და რისკების ან, ზემოაღნიშნული განმარტების შესაბამისად, სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონის მიხედვით.

(თ) მარაგები

მასალები, სათადარიგო ნაწილები და სხვა მოხმარების საგნები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, რომელსაც ემატება ტრანსპორტირებისა და ჩატვირთვა-გადმოტვირთვის ხარჯები.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება გამოითვლება, როგორც ჩვეული საქმიანობის პროცესში სავარაუდო გასაყიდ ფასს გამოკლებული დასრულების და გაყიდვის სავარაუდო ხარჯი. მარაგები ხარჯებად ტარდება „პირველი შემოსული პირველი გადის“ (ე.წ. „ფიფო“) მეთოდის გამოყენებით.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ი) არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის შესაძლო გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ან როდესაც აქტივის წლიური ტესტირებაა საჭირო მისი გაუფასურების დასადგენად, ჯგუფი აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას. აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გასვლის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი და განისაზღვრება ცალკეული აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივიდან არ ხდება ფულადი სახსრების შემოღინება, რომლებიც მეტწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივებიდან ან აქტივების ჯგუფიდან მიღებული ფულადი სახსრებისგან. როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებულად და ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე.

გამოყენების ღირებულების განსაზღვრისას, შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგვრამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულების გამოთვლა ხდება ბოლოდროინდელი საბაზრო გარიგებების გათვალისწინებით. ამ გამოთვლების დასაბუთება ხდება შეფასების კოეფიციენტებით და სამართლიანი ღირებულების სხვა ხელმისაწვდომი მაჩვენებლებით.

2022 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით ჯგუფის ძირითადი საშუალებები გადააფასა დამოუკიდებელმა შემფასებელმა „KPMG“, საბაზრო მიდგომა ან შემოსავლის (DCF) მიდგომის გამოყენებით. საბაზრო შედარების მეთოდი ეფუძნება შეფასების საგნის პირდაპირ შედარებას სხვა ობიექტთან, რომელიც გაიყიდა ან სავაჭრო რეესტრშია შესული, ღირებულების განსაზღვრისთვის გამოყენებული შესაბამისი ცვლილებების განხორციელებით. ბათუმის საზღვაო ნავსადგური გაუფასურების დაანგარიშებებს აფუძნებს დეტალურ ბიუჯეტებს და საპროგნოზო კალკულაციებს, რომელიც ზოგადად 5-წლიან პერიოდს მოიცავს. გამოითვლება გრძელვადიანი ზრდის ტემპი, რომელიც გამოიყენება ხუთი წლის შემდგომი ფულადი ნაკადების პროგნოზირებისთვის.

განგრძობითი ოპერაციების გაუფასურებით გამოწვეული ზარალი, მარაგების გაუფასურების ჩათვლით, აღიარებულია კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში გარდა იმ ქონებისა, რომელიც მანამდე გადაფასდა და გადაფასება აისახა სხვა სრულ შემოსავალში. ასეთ შემთხვევაში გაუფასურების აღიარებაც სხვა სრულ შემოსავალში მოხდება ნებისმიერი მანამდე მომხდარი გადაფასების თანხამდე.

(კ) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულისგან ბანკში და სალაროში. ნაღდი ფული ბანკში გულისხმობს პროცენტთან მიმდინარე ანგარიშებს.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ლ) ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს წარსული მოვლენების გამო აქვს მიმდინარე იურიდიული თუ კონსტრუქციული ვალდებულება და მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება ვალდებულების დასაფარად. ასევე, შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ განსაზღვრა. ანარიცხებთან დაკავშირებული ხარჯები წარმოდგენილია კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ნებისმიერი ანაზღაურების გამოკლებით.

თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მნიშვნელოვანია, ანარიცხების დისკონტირება ხდება მიმდინარე დაბეგვრამდელი განაკვეთით, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ასახავს ამ ვალდებულებისთვის დამახასიათებელ რისკებს. დისკონტირების გამოყენების შემთხვევაში, ანარიცხების ზრდა დროის გასვლის გამო აღიარებულია ფინანსური დანახარჯების ნაწილში.

(მ) არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები საწყისი აღიარებისას თვითღირებულებით აღირიცხება. საწარმოთა გაერთიანებისას შეძენილი არამატერიალური აქტივების ღირებულება წარმოადგენს მათ სამართლიან ღირებულებას შეძენის თარიღისთვის. საწყისი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივები თვითღირებულებით აისახება, რასაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. საწარმოში შექმნილი არამატერიალური აქტივების კაპიტალიზაცია, გარდა კაპიტალიზებული საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა დანახარჯებისა, არ ხდება და ხარჯი აისახება მოგებაში ან ზარალში იმ წლისთვის, რომლის განმავლობაშიც ეს ხარჯი გაიწია.

არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა განსაზღვრული ვადით ფასდება.

შეზღუდული ეკონომიკური მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზება ხდება ეკონომიკური მომსახურების ვადის პერიოდში და გაუფასურების ოდენობის დასადგენად გადაფასდება მაშინ, როდესაც იარსებებს ამ არამატერიალური აქტივის შესაძლო გაუფასურების ნიშნები.

ამორტიზაციის პერიოდი და მეთოდი, სასარგებლო მომსახურების შეზღუდული ვადის მქონე არამატერიალური აქტივის შემთხვევაში, მინიმუმ ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაისინჯება. მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადის ან აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი აღირიცხება ამორტიზაციის პერიოდის ან მეთოდის შესაბამისი ცვლილებით და განიხილება, როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილება. შეზღუდული ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯის აღიარება ხდება კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში არამატერიალური აქტივების ფუნქციების შესაბამისი ხარჯის კატეგორიაში.

ჯგუფი არ ფლობს სასარგებლო მომსახურების განუსაზღვრელი ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს.

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი ფასდება, როგორც წმინდა გასვლის ამონაგებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც აქტივის აღიარება წყდება.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(5) გარიგებები საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ პირებთან

საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ პირებთან ყველა გარიგება ფასდება თვითღირებულებით, თუ სხვა რამეს არ ითვალისწინებს ფასს, მაგალითად ფასს (IFRS) 2 „წილობრივი გადახდა“ ან ფასს (IFRS) 9 „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“. იმ შემთხვევაში, თუ გარიგებები არ შეიცავს საზღაურს, მაშინ მათი ღირებულება ნულით ფასდება.

2.4 სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება და განმარტებითი შენიშვნები

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები

შემდეგი ცვლილებები და ინტერპრეტაციები პირველად იქნა გამოყენებული 2022 წელს, თუმცა მათ არ ჰქონია გავლენა ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ▶ „წამგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ხარჯი“ - ბასს (IAS) 37-ის ცვლილება
- ▶ ფასს (IFRS) 3-ის ცვლილება „კონცეპტუალური მიდგომა“
- ▶ „ძირითადი საშუალებები: შემოსავალი დანიშნულებისამებრ გამოყენებამდე“ - ბასს (IAS) 16-ის („იჯარა“) ცვლილება
- ▶ ფასს (IFRS) 1 „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება - შვილობილი საწარმო, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს“
- ▶ ფასს (IFRS) 9 „ფინანსური ინსტრუმენტები - ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტისთვის „10 პროცენტის“ ტესტში მოყვანილი საკომისიოები“
- ▶ ბასს (IAS) 41 - „სოფლის მეურნეობა - დაბეგვრა სამართლიანი ღირებულებით შეფასებაში“

ახალი და გადასინჯული სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდისთვის ჯერ არ შესულა ძალაში და რომლებიც ჯგუფს ნაადრევად არ მიუღია. ახალი და გადასინჯული სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული:

- ▶ ფასს (IFRS) 17: სადაზღვევო ხელშეკრულებები
- ▶ ბასს (IAS) 1-ის ცვლილება: „ვალდებულებების მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიცირება“,
- ▶ „სააღრიცხვო შეფასებების განმარტება“ - ბასს (IAS) 8-ის ცვლილება
- ▶ „სააღრიცხვო პოლიტიკასთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნა“ - ბასს (IAS) 1-ის ცვლილება და განცხადება 2 ფასს-ების გამოყენების პრაქტიკის შესახებ
- ▶ „ერთი გარიგებიდან წარმოშობილი აქტივებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადი“ - ბასს (IAS) 12-ის ცვლილება

მოსალოდნელი არ არის, რომ ამ ახალ სტანდარტებს არსებითი გავლენა ექნება ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ გადაწყვეტილებებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარმოდგენილი ამონაგების, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და ასევე პირობითი ვალდებულებების გაცხადებაზე საანგარიშგებო პერიოდის დასრულების თარიღისთვის. თუმცა ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

განსჯა

ქვემოთ წარმოდგენილია ხელმძღვანელობის განსჯა ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის გატარების პროცესში, რომელიც ყველაზე მეტად მოქმედებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე:

ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული ვალდებულებები - ჯგუფი, როგორც მეიჯარე

ჯგუფს გაფორმებული აქვს საიჯარო შეთანხმება შპს „ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალთან“ მე-4, მე-5, მე-6 ნავმისადგომების, საბორნე ტერმინალის, გარკვეული მანქანა-დანადგარებისა და აღჭურვილობის, ასევე 13.6 ჰექტარი მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემაზე. იჯარა 2007 წლის აპრილში გაფორმდა 48 წლიანი ვადით, რომელიც 2055 წლის 30 ივნისს იწურება. ჯგუფმა ამ შეთანხმებების პირობების შეფასების შედეგად დაადგინა, რომ მას მოიჯარისთვის გადაცემული აქვს ამ ქონების ფლობასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკი და სარგებელი, გარდა მიწის ნაკვეთისა. შესაბამისად, ჯგუფმა საიჯარო გადახდები გადაანაწილა ფინანსური და საოპერაციო იჯარების ელემენტებს შორის, საიჯარო აქტივების სამართლიანი ღირებულების პროპორციულად.

იჯარის კლასიფიკაციასთან დაკავშირებული განსჯა გავლენას ახდენს მათ აღრიცხვაზე და შეიძლება ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე არსებითად იმოქმედოს.

შეფასებები და დაშვებები

მომავალთან დაკავშირებით გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასებები და ასევე სხვა განუსაზღვრელობები საანგარიშგებო თარიღისათვის, რომელთა გამოც მომავალ ფინანსურ წელს შეიძლება საჭირო გახდეს მნიშვნელოვანი ცვლილების შეტანა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში, აღწერილია ქვემოთ. ჯგუფმა თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძვლად გამოიყენა ის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. თუმცა არსებული გარემოებები და მომავალ მოვლენებთან დაკავშირებული დაშვებები შეიძლება შეიცვალოს ბაზარზე ან გარემოებებში ისეთი ცვლილებების გამო, რომლებიც არ ექვემდებარება ჯგუფის კონტროლს. ასეთი ცვლილებები დაშვებებში აისახება მათი დადგომისთანავე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების გადაფასება

ჯგუფი იყენებს გადაფასების მოდელს თავისი ძირითადი საშუალებების აღრიცხვისთვის. ბასს (IAS) 16-ის „ძირითადი საშუალებები“ მიხედვით, კომპანია ვალდებულია ისეთი სიხშირით გადაფასოს ძირითადი საშუალებები, რომ საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს იმ ღირებულებისგან, რომელიც განისაზღვრებოდა სამართლიანი ღირებულების გამოყენებით საანგარიშგებო პერიოდის დასრულების თარიღისთვის.

ძირითადი საშუალებების სამართლიან ღირებულებაში გამოყენებული მნიშვნელოვანი დაშვება და შეფასება განხილულია მე-10 შენიშვნაში.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი

ჯგუფმა აღიარა რეზერვები სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე და გამოიყენა სტანდარტის გამარტივებული მიდგომა. ხელმძღვანელობამ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დაიანგარიშა ამ ფინანსური ინსტრუმენტების ვადის გათვალისწინებით. ჯგუფმა გამოიყენა მისი საკრედიტო ზარალის გამოცდილების გათვალისწინებით მომზადებული ანარიცხის მოდელი, რომელიც მოვალეების პერსპექტიულ ფაქტორებს და ეკონომიკურ გარემოს მოერგო. ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისთვის ჯგუფმა განსაზღვრა, რომ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არაარსებითი იყო.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი 8,734 აშშ დოლარის (2021 წ.: 7,879 აშშ დოლარი) ოდენობით სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურებით გამოწვეული შესაძლო ზარალის საუკეთესო შეფასებაა (მე-13 შენიშვნა).

პოტენციური საგადასახადო ვალდებულებების ანარიცხები

არსებობს გაურკვევლობები რთული საგადასახადო რეგულაციების ინტერპრეტაციასთან მიმართებაში. ინტერპრეტაციებში ამგვარი განსხვავებები შესაძლოა წარმოიშვას მრავალ საკითხთან დაკავშირებით, ქვეყანაში უპირატესად არსებული ვითარებებიდან გამომდინარე. ჩატარებული შეფასების საფუძველზე, ჯგუფს არ შეუდგენია ანარიცხი საგადასახადო და საბაჟო ორგანოების მხრიდან შემოწმების შესაძლო შედეგებისთვის. შეფასება სხვადასხვა ფაქტორებს ეფუძნება, კერძოდ წინა საგადასახადო შემოწმებებიდან მიღებული გამოცდილება და დასაბეგრი კომპანიისა და შესაბამისი საგადასახადო და საბაჟო ორგანოების მიერ საგადასახადო კოდექსის განსხვავებული ინტერპრეტაცია. 18 შენიშვნაში განხილულია ბოლო საგადასახადო შემოწმების შედეგები და სხვა საგადასახადო პირობითი ვალდებულებები.

4. ფუნქციონირებადი საწარმო

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის მოკლევადიანი ვალდებულებები მის მოკლევადიან აქტივებს 43,434 აშშ დოლარით აღემატება (2021 წ.: 78,357 აშშ დოლარი). მოკლევადიანი ვალდებულებების ძირითადი კომპონენტია სესხები და ნასესხები სახსრები და სავაჭრო და სხვა ვალდებულებები საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოების მიმართ. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წმინდა მიმდინარე პოზიცია არადაკავშირებული მესამე მხარეების მიმართ დადებითია და 15,711 აშშ დოლარს უტოლდება (2021 წ.: 8,866 აშშ დოლარი).

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(ათას აშშ დოლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

4. ფუნქციონირებადი საწარმო (გაგრძელება)

ჯგუფის ხელმძღვანელობამ საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოსგან მიიღო 2023 წლის 3 თებერვლით დათარიღებული წერილი, რომლითაც კომპანია ადასტურებს, რომ არ მოითხოვს მითითებული სესხების, ნასესხები სახსრების და სავაჭრო და სხვა ვალდებულებების დაფარვას ჯგუფის ინდივიდუალური და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების დამტკიცების თარიღიდან 12 თვის განმავლობაში, თუ ამგვარი დაფარვა ჯგუფს ზიანს მიაყენებს. ხსენებული ვალდებულებების მთლიანი ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 55,960 აშშ დოლარს შეადგენდა.

ამასთან, ჯგუფმა მიიღო 2023 წლის 1 თებერვლით დათარიღებული მხარდაჭერის წერილი მშობელი საწარმოსგან, რომელშიც ეს უკანასკნელი ადასტურებს თავის განზრახვას ფინანსურად დაეხმაროს ჯგუფს, თუ ამგვარი საჭიროება წარმოიშობა ახლო მომავალში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ ჯგუფი მომავალშიც დარჩება ფუნქციონირებად საწარმოდ და მოახდენს თავისი აქტივების გაყიდვასა და ვალდებულებების დაფარვას ჩვეული საქმიანობის პროცესში. მომზადების საფუძველზე კეთდება დაშვება, რომ საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო არ მოითხოვს მოკლევადიანი ვალდებულებების გადახდას განჭვრეტად მომავალში, თუ ეს ჯგუფს ზიანს მიაყენებს.

5. ამონაგები

	2022	2021
სანავსადგურო მოსაკრებელი და მომსახურების ღირებულება	10,100	9,696
ამონაგები ნავთობპროდუქტების გადატვირთვიდან	17,129	9,364
მშრალი ტვირთების ტერმინალი	7,389	5,821
ამონაგები სასაწყობე მომსახურებიდან	2,631	1,417
სხვა ამონაგები	431	171
	37,680	26,469
საიჯარო შემოსავალი (20.1 შემოსავალი)	1,376	1,300
	39,056	27,769

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ყველა სახელშეკრულებო ნაშთი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებით იზღუდება 1,856 აშშ დოლარის (2021 წ.: 3,737 აშშ დოლარი) ოდენობით, რეზერვის გამოკლებით. სავაჭრო მოთხოვნების კლება მეტწილად გამოწვეული იყო გადახდის პირობების ცვლილებით 2022 წელს, როცა მომხმარებლები ვალდებული იყვნენ გადაეხადათ სანავსადგურო მოსაკრებელი და მომსახურების ღირებულება მანამდე, სანამ გემი დატოვებდა ნავსადგურს.

6. გაყიდული საქონლის თვითღირებულება

	2022	2021
დასაქმებულთა გასამრჯელოები	11,345	8,982
ცვეთა და ამორტიზაცია	4,087	3,686
მასალის პირდაპირი დანახარჯი	4,727	2,422
სახანძრო უსაფრთხოება და დაცვა	933	799
ელექტროენერგია	993	728
ქონებისა და მიწის გადასახადი	778	662
რემონტი და ტექნომსახურება	758	641
მოკლევადიან იჯარებთან დაკავშირებული ხარჯი	589	448
სხვა ხარჯები	2,044	1,393
	26,254	19,761

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (ათას აშშ დოლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2022	2021
დასაქმებულთა გასამრჯელოები	3,341	3,404
პროფესიული მომსახურება (ა)	321	333
მოკლევადიან იჯარებთან დაკავშირებული ხარჯი	279	278
ადმინისტრაციული შენობის ტექნიკური მომსახურება	118	98
ცვეთა და ამორტიზაცია	99	78
მგზავრობის ხარჯები	89	54
საკრედიტო ზარალის რეზერვი (მე-13 შენიშვნა)	643	(396)
სხვა ხარჯები	384	465
	5,274	4,314

2022 წელს აუდიტორის მთლიანი ანაზღაურება შედგებოდა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის საფასურისგან 91 აშშ დოლარის ოდენობით (2021 წ.: 97 აშშ დოლარი) და სხვა მარჩმუნებელი მომსახურების ღირებულებისგან 36 აშშ დოლარის ოდენობით (2021 წ.: 36 აშშ დოლარი) და ის პროფესიულ მომსახურებაში იყო შესული.

8. ფინანსური შემოსავალი და დანახარჯები

	2022	2021
ფინანსური შემოსავალი		
საპროცენტო შემოსავალი მიმდინარე ანგარიშებზე (მე-14 შენიშვნა)	441	254
საპროცენტო შემოსავალ ფინანსურ იჯარაზე (20.3 შენიშვნა)	39	38
	480	292
ფინანსური დანახარჯები		
საპროცენტო დანახარჯი სესხებსა და ნასესხებ სახსრებზე (მე-16 შენიშვნა)	(5,446)	(1,145)
	(5,446)	(1,145)

9. სხვა არასაოპერაციო ხარჯი და დანახარჯები

	2022	2021
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		
ანარიცხების გაუქმება (მე-18 შენიშვნა)	318	603
სხვა შემოსავალი	203	377
	521	980
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		
ანარიცხები (მე-18 შენიშვნა)	301	812
საქველმოქმედო ხარჯები	187	109
ძირითადი საშუალებების გასვლასთან დაკავშირებული დანაკარგები	226	118
რემონტის და ტექმომსახურების სამუშაოები	–	214
სხვა	176	232
	890	1,485

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(ათას აშშ დოლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

10. ძირითადი საშუალებები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის ძირითადი საშუალებები სააღრიცხვო ღირებულებით 5,098 აშშ დოლარი წარმოადგენს უზრუნველყოფას კონტრაქტთან მოსალოდნელი საგადასახადო დავის შედეგად (2021 წ.: 4,821 აშშ დოლარი) (20.4 შენიშვნა).

	მიწა	შენიშვნები და ნაგებობები	ტრანსპორტი	მანქანა- დანადგარები და ალჭურვილობა	სხვა გრძელვადი- ანი აქტივები	დაუმთავრე- ბელი შენიშვნა	სულ
მთლიანი ღირებულება							
2020 წლის 31 დეკემბრის	46,506	17,372	9,296	13,780	138	3,428	90,520
შესყიდვები	–	–	7	–	–	4,822	4,829
გადატანები	–	3,792	3,092	(868)	146	(6,276)	(114)
გასვლები	–	(128)	(2)	(23)	(5)	–	(158)
საკურსო სხვაობა	–	979	309	515	4	48	1,855
2021 წლის 31 დეკემბრის	46,506	22,015	12,702	13,404	283	2,022	96,932
შესყიდვები	–	46	–	–	–	4,699	4,745
გადატანები	–	1,352	815	1,747	150	(4,064)	–
გასვლები	–	(149)	–	(107)	(17)	–	(273)
გადაფასებით მიღებული შემოსულობა/(ზარალი), წმინდა	6,871	722	39	1,087	(36)	(68)	8,615
დაგროვილი ცვეთის ჩამოწერა გადაფასების გამო	–	(2,796)	(4,256)	(4,667)	(143)	–	(11,862)
საკურსო სხვაობა	–	2,562	635	1,150	5	23	4,375
2022 წლის 31 დეკემბრის	53,377	23,752	9,935	12,614	242	2,612	102,532
დაგროვილი ცვეთა							
2020 წლის 31 დეკემბრის	–	999	2,618	1,381	105	–	5,103
ცვეთის დანარიცხი	–	929	1,277	1,434	30	–	3,670
გასვლები	–	(29)	(2)	(6)	(3)	–	(40)
საკურსო სხვაობა	–	84	82	116	1	–	283
2021 წლის 31 დეკემბრის	–	1,983	3,975	2,925	133	–	9,016
ცვეთის დანარიცხი	–	1,101	516	2,369	49	–	4,035
გასვლები	–	(6)	–	(31)	(8)	–	(45)
დაგროვილი ცვეთის ჩამოწერა გადაფასების გამო	–	(2,796)	(4,256)	(4,667)	(143)	–	(11,862)
საკურსო სხვაობა	–	(10)	(19)	(24)	–	–	(53)
2022 წლის 31 დეკემბრის	–	272	216	572	31	–	1,091
წმინდა სააღრიცხვო ღირებულება							
2021 წლის 31 დეკემბრის	46,506	20,032	8,727	10,479	150	2,022	87,916
2022 წლის 31 დეკემბრის	53,377	23,480	9,719	12,042	211	2,612	101,441

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის ძირითადი საშუალებები სააღრიცხვო ღირებულებით 5,098 აშშ დოლარი წარმოადგენს უზრუნველყოფას კონტრაქტთან მოსალოდნელი სამართლებრივი დავის შედეგად (2021 წ.: 4,821 აშშ დოლარი) (20.4 შენიშვნა).

ჯგუფმა შეაფასა ძირითადი საშუალებების სამართლიანი ღირებულება 2022 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, დამოუკიდებელი შემფასებლის „KPMG Georgia“-ს ჩართულობით. სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა შეფასების მეთოდებით, საუკეთესო გამოყენების პრინციპის საფუძველზე.

2022 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, ძირითადი საშუალებების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა საბაზრო და შემოსავლის მიდგომების გამოყენებით.

10. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

მიწის ნაკვეთების და ბათუმის საზღვაო ნავსადგურის კონტროლის ქვეშ მყოფების გარდა აქტივების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა შემოსავლის მიდგომის გამოყენებით, კერძოდ დისკონტირებული ფულადი ნაკადების წმინდა დღევანდელი ღირებულება, რომელიც კორექტირდება წმინდა საბრუნავი კაპიტალის და ასევე არა სპეციალიზებული ძირითადი საშუალებების სამართლიანი ღირებულებით. ფულადი ნაკადები პროგნოზირება ეფუძნება მშობელი საწარმოს და „ყაზრანსოილის“ ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულ ფინანსურ ბიუჯეტებს, რომლებიც ხუთწლიან პერიოდს მოიცავს, ასევე საბოლოო ღირებულების შეფასებას. ჯგუფმა გამოიყენა 11,6%-იანი დისკონტირების განაკვეთი და გრძელვადიანი ზრდის განაკვეთი 2%-ის ოდენობით.

ჯგუფმა აღიარა წმინდა შემოსულობა ძირითადი საშუალებების გადაფასებიდან 8,615 აშშ დოლარის ოდენობით (მე-11 შენიშვნა), რაც მოიცავდა გადაფასების ზარალს 1,046 აშშ დოლარის ოდენობით, რომელიც ძირითადი საშუალებების გაუფასურების ხარჯშია აღიარებული მოგება-ზარალის ფარგლებში და მეტწილად უკავშირდებოდა მანქანა-დანადგარებს და აღჭურვილობას და ასევე გადაფასების შემოსულობას 9,661 აშშ დოლარის ოდენობით, რომელიც აღიარებულია გადაფასების რეზერვში და მეტწილად მიწის ნაკვეთებს უკავშირდება.

მიწის ნაკვეთების სამართლიანი ღირებულება ყველაზე მგრძნობიარეა ბათუმში მიწის ნაკვეთების საბაზრო ფასების ცვლილების მიმართ. ერთი კვადრატული მეტრის ღირებულების 5%-იანი კლება გამოიწვევდა მიწის ნაკვეთების სამართლიანი ღირებულების 2,669 აშშ დოლარით შემცირებას.

11. არამატერიალური აქტივები

	პროგრამული უზრუნველყოფა	ლიცენზიები	უზუფრუქტის უფლება მიწაზე	მიწით სარგებლობის უფლება (ა)	სულ
დანახარჯები					
2020 წლის 31 დეკემბერს	265	254	223	2,818	3,560
შესყიდვები	–	6	26	–	32
საკურსო სხვაობა	1	13	13	163	190
2021 წლის 31 დეკემბერს	266	273	262	2,981	3,782
შესყიდვები	111	52	251	–	414
საკურსო სხვაობა	4	74	52	437	567
2022 წლის 31 დეკემბერს	381	399	565	3,418	4,763
ამორტიზაცია და გაუფასურება					
2020 წლის 31 დეკემბერს	242	194	28	620	1,084
ამორტიზაციის დანარიცხი	14	10	6	64	94
საკურსო სხვაობა	1	12	2	38	53
2021 წლის 31 დეკემბერს	257	216	36	722	1,231
ამორტიზაციის დანარიცხი	28	31	12	71	142
საკურსო სხვაობა	3	33	5	111	152
2022 წლის 31 დეკემბერს	288	280	53	904	1,525
წმინდა სადარიცხო ღირებულება					
2021 წლის 31 დეკემბერს	9	57	226	2,259	2,551
2022 წლის 31 დეკემბერს	93	119	512	2,514	3,238

(ა) მიწით სარგებლობის უფლება ეხება ბათუმის საზღვაო ნავსადგურის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს, რომელიც ჯგუფს 49 წლის ვადით გადაეცა 2006 წლის 22 ივლისით დათარიღებული ხელშეკრულებით მართვის უფლების შესახებ.

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(ათას აშშ დოლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

12. მარაგები

	2022	2021
ნავთობი და ნავთობპროდუქტები	1,199	1,179
სათადარიგო ნაწილები	1,753	1,826
სხვა	31	16
	2,983	3,021

13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2022	2021
მესამე მხარეებისგან მისაღები სავაჭრო მოთხოვნები	9,618	11,541
დაკავშირებული მხარეებისგან მისაღები სავაჭრო მოთხოვნები (19.1 შენიშვნა)	1,035	138
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, მთლიანი	10,653	11,679
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	(8,734)	(7,879)
	1,919	3,800

მესამე მხარეების მიმართ სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის ცვლილების შეჯერება შემდეგია:

	2022	2021
1 იანვრის მდგომარეობით	(7,879)	(8,301)
წლის (დანარიცხები)/გაუქმება	(643)	396
საკურსო სხვაობები	(212)	26
	(8,734)	(7,879)

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის კომპანია ატარებს გაუფასურების ანალიზს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, ანარიცხების მატრიცის გამოყენებით. დარეზერვების დონე ეფუძნება ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობას ზარალის მსგავსი მახასიათებლების მქონე სხვადასხვა სამომხმარებლო სეგმენტების დაჯგუფების საფუძველზე. არადაკავშირებული მხარეებისგან სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებაში კომპანია რისკის კონცენტრაციას აფასებს, როგორც დაბალს, რადგან კომპანია უმეტესად მუშაობს დაკავშირებულ მხარეებთან და დანარჩენი მომხმარებლებისთვის იქმნება შესაბამისი რეზერვი ქვემოთ მოცემული მატრიცის საფუძველზე. 2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი მეტწილად უკავშირდება არადაკავშირებულ მესამე მხარეებს და მესამე მხარეების მიმართ სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებით არსებითი რეზერვი არ გამოვლენილა.

ქვემოთ წარმოდგენილია ინფორმაცია ჯგუფის სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საკრედიტო რისკზე დაქვემდებარების შესახებ, ანარიცხების მატრიცის გამოყენებით:

2022 წლის 31 დეკემბერი	ვადაგადაცილებული დღეები					სულ
	მიმდინარე	<30 დღე	30-60 დღე	61-90 დღე	>91 დღე	
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთი	0.8%	2.8%	28.9%	52.6%	96%	
დეფოლტის რისკის ქვეშ არსებული მოსალოდნელი მთლიანი საბალანსო ღირებულება	1,287	248	45	19	9,054	10,653
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(10)	(7)	(13)	(10)	(8,694)	(8,734)

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(ათას აშშ დოლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

2021 წლის 31 დეკემბერი	ვადაგადაცილებული დღეები					სულ
	მიმდინარე	<30 დღე	30-60 დღე	61-90 დღე	>91 დღე	
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთი	-	0.3%	0.8%	3.2%	99.4%	
დეფოლტის რისკის ქვეშ არსებული მოსალოდნელი მთლიანი საბალანსო ღირებულება	151	1,199	119	2,360	7,850	11,679
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	-	(3)	(1)	(75)	(7,800)	(7,879)

14. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ჯგუფის ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წარმოდგენილია ბანკში ნაღდი ფულის სახით. ჯგუფი საპროცენტო შემოსავალს იღებს რეზიდენტ ბანკებში განთავსებულ მიმდინარე ანგარიშებზე. მიმდინარე ანგარიშებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალი შეადგენდა 441 აშშ დოლარს (2021 წ.: 254 აშშ დოლარი) (მე-8 შენიშვნა).

15. საკუთარი კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის საწესდებო კაპიტალი 911 აშშ დოლარით განისაზღვრა და მას ერთპიროვნულად ფლობს ყაზახეთის რესპუბლიკის რეზიდენტი კომპანია სს „ყაზტრანსოილი“.

დივიდენდები

2022 და 2021 წლებში კომპანიას დივიდენდები არ გამოუცხადებია და არ გადაუხდია მისი აქციონერისთვის.

გადაფასების რეზერვი

აქტივის გადაფასების რეზერვი გამოიყენება ძირითადი საშუალებების სამართლიანი ღირებულების ზრდის, და ასევე შემცირების აღრიცხვისთვის იმდენად, რამდენადაც ღირებულების შემცირება უკავშირდება ღირებულების ზრდას იმავე აქტივზე, რომელიც მანამდე საკუთარ კაპიტალში იყო აღიარებული. რეზერვის გამოყენება დივიდენდების გადასახდელად არ შეიძლება.

საკურსო სხვაობის რეზერვი

საკურსო სხვაობის რეზერვი გამოიყენება ბათუმის საზღვაო ნავსადგურთან დაკავშირებული საკურსო სხვაობების დასაგროვებლად, როდესაც წარსადგენი ვალუტა განსხვავდება სამუშაო ვალუტისგან.

კაპიტალის მართვა

ჯგუფს არ აქვს კაპიტალთან დაკავშირებით გარედან დაკისრებული შეზღუდვები. ჯგუფს არ აქვს კაპიტალის მართვის ოფიციალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს შეინარჩუნოს შესაბამისი კაპიტალის, რომ დაკმაყოფილდეს ჯგუფის საოპერაციო და სტრატეგიული მიზნები.

16. სესხები და ნასესხები სახსრები

2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სესხები და ნასესხები სახსრები წარმოდგენილია ჯგუფის საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო „პეტროტრანს ლიმიტედისგან“ ნასესხები სახსრებით. საწარმო არაბთა გაერთიანებულ საამიროებშია რეგისტრირებული. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მათი ნასესხები სახსრები აშშ დოლარშია გამოხატული ფიქსირებული ნომინალური საპროცენტო განაკვეთით 10,0% საწყის ძირითად თანხაზე და არ ირიცხებოდა დაგროვილ დარიცხულ პროცენტზე (2021 წ.: წელიწადში 6,9%).

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფმა გააფორმა ცვლილება თავის ნასესხებ სახსრებზე საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოსგან, რითაც მოხდა შეთანხმება შემდეგზე: (i) ნასესხები სახსრები დაფარვის ვადის გახანგრძლივება დამატებით 17 წლით 2039 წლის 31 დეკემბრამდე და (ii) სესხის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთის 2,3%-მდე შემცირება (2021 წ.: საწყისი წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი 12%). რადგან ნასესხები სახსრების ცვლილება არსებითი იყო, ჯგუფმა შეწყვიტა მისი წინა ვალდებულების აღიარება და ახალი ვალდებულება აღიარა ახალი დაფარვის გრაფიკის შესაბამისად, ასევე განახლებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით, რომელიც შეფასდა საბაზრო წლიური განაკვეთით (8,1%) საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მსგავს სესხებთან დაკავშირებულ საჯაროდ ხელმისაწვდომ ინფორმაციაზე დაყრდნობით. შესაბამისად, ჯგუფმა აღიარა შემოსულობა 17,312 აშშ დოლარის ფინანსური ვალდებულებების აღიარებისას მოგება-ზარალში 2022 წელს და განახორციელა მისი 16,159 აშშ დოლარის ოდენობით ნასესხები სახსრების რეკლასიფიკაცია გრძელვადიან ვალდებულებად 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განახლებული დაფარვის გრაფიკის საფუძველზე.

17. სავაჭრო და სხვა ვალდებულება

	2022	2021
ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების მიმართ (19.1 შენიშვნა)	41,429	41,462
სავაჭრო ვალდებულება	2,061	1,220
ვალდებულებები დასაქმებულთა მიმართ	1,557	872
ძირითად საშუალებებთან დაკავშირებული ვალდებულება	541	505
სხვა ვალდებულება	1	10
	45,589	44,069

18. ანარიცხები

	ანარიცხი საბაჟო მოსაკრებ- ლებზე	ანარიცხი იურიდიული სარჩელების- თვის	საგადასახად ო ანარიცხები (20.6 შენიშვნა)	გამოყენებ- ლი შვებულება	სახელშეკ- რულებო ვალდებუ- ლება	სულ
2020 წლის 31 დეკემბერი	603	700	2,266	166	74	3,809
წლის დანარიცხი	–	–	812	246	–	1,058
გამოყენებული	–	(700)	–	–	–	(700)
აღდგენა წლის განმავლობაში	(603)	–	–	(217)	–	(820)
საკურსო სხვაობა	–	–	187	–	–	187
2021 წლის 31 დეკემბერი	–	–	3,265	195	74	3,534
წლის დანარიცხი	–	–	301	115	–	416
გამოყენებული	–	–	(715)	–	(74)	(789)
აღდგენა წლის განმავლობაში	–	–	(318)	(135)	–	(453)
საკურსო სხვაობა	–	–	307	10	–	317
2022 წლის 31 დეკემბერი	–	–	2,840	185	–	3,025

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (ათას აშშ დოლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

18. ანარიცხები (გაგრძელება)

2022 და 2021 წლებში გამოუყენებელ შვებულებასთან და საპენსიო ფონდთან დაკავშირებული დარიცხვები და გაუქმებები აღიარდა გაყიდული საქონლის თვითღირებულების და საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების სახით, შესაბამისი თანამშრომლების სამსახურეობრივი ფუნქციებიდან გამომდინარე.

2022 წელს კომპანიამ დამატებითი ხარჯი აღიარა 301 აშშ დოლარის ოდენობით საგადასახადო ანარიცხებზე სხვა საოპერაციო ხარჯებში და გააუქმა საგადასახადო ანარიცხები 318 აშშ დოლარის ოდენობით სხვა არასაოპერაციო შემოსავალში (მე-9 შენიშვნა).

19. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები

19.1 საოპერაციო გარიგებები

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია იმ გარიგებების მთლიანი თანხა, რომლებიც შესაბამის ფინანსურ წელს დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელდა:

		გაყიდვები	შესყიდვა დაკავშირებული მხარეებისგან	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	სავაჭრო და სხვა ვალდებულება	გადავადებული შემოსავალი, მოკლევადიანი და სხვა ვალდებულებები
2022						
„პეტროტრანს ლიმიტედი“ (ა)	<i>EUCC *</i>	8,464	–	821	41,421	4,006
„რომპეტროლ საქართველო“ (ბ)	<i>EUCC *</i>	2,944	153	214	8	–
„ყაზტრანსოილი“	<i>მშობელი საწარმო</i>	–	–	–	–	–
		11,408	153	1,035	41,429	4,006
2021						
„პეტროტრანს ლიმიტედი“ (ა)	<i>EUCC *</i>	1,468	–	137	41,421	–
„რომპეტროლ საქართველო“ (ბ)	<i>EUCC *</i>	1,845	97	–	41	101
„ყაზტრანსოილი“	<i>მშობელი საწარმო</i>	–	–	1	–	–
		3,313	97	138	41,462	101

შენიშვნა: * – საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები

- (ა) „პეტროტრანს ლიმიტედი“ გასწევს ტვირთის გადაზიდვის და საექსპედიტორო მომსახურებას საქართველოს მასშტაბით და ჯგუფის მომსახურებით მარშრუტის ბოლო მოწვევებზე სარგებლობს. 2022 და 2021 წლებში „პეტროტრანს ლიმიტედის“ მიმართ არსებული დავალიანება მოიცავდა 40,989 აშშ დოლარს, რომელიც გადასახდელი იყო „ბათუმის საზღვაო ნავსადგურის“ ექსკლუზიური მართვის უფლების შესყიდვისთვის.
- (ბ) „რომპეტროლ საქართველო“ მართავს ბენზინგასამართ სადგურებს საქართველოში და ასევე ჯგუფზე ყიდის ამ პროდუქტებს. ჯგუფი გადატვირთვის მომსახურებებს უწევს „რომპეტროლ საქართველოს“, რაც უმეტესად უკავშირდება საქართველოში ღია ნავთობპროდუქტების იმპორტირებას.

19.2 საფინანსო ოპერაციები

საფინანსო ოპერაციები		საპროცენტო ხარჯი	ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების მიმართ
2022			
„პეტროტრანს ლიმიტედი“	EUCC	5,446	30,698
2021			
„პეტროტრანს ლიმიტედი“	EUCC	1,145	45,899

დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სესხების ძირითადი პირობები წარმოდგენილია მე-16 შენიშვნაში.

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(ათას აშშ დოლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

19. საოპერაციო გარიგებები (გაგრძელება)

19.3 გარიგებები უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობასთან

2022 წელს, ჯგუფის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა 10 ფიზიკური პირისგან (2021 წ.: 9 ფიზიკური პირი) შედგებოდა. მთლიანი ანაზღაურება შედგებოდა ხელფასების, პრემიების და დაბინავების ხარჯების ანაზღაურებისგან 2,193 აშშ დოლარის (2021 წ.: 1,848 აშშ დოლარი) ოდენობით. სხვა გარიგებები უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობასთან არ შემდგარა.

20. პირობითი ვალდებულებები

20.1 საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებული ვალდებულებები - ჯგუფი, როგორც მეიჯარე

ჯგუფს, როგორც მეიჯარეს, ორი მნიშვნელოვანი საიჯარო ხელშეკრულება აქვს გაფორმებული. შეუქცევად საოპერაციო იჯარებზე მისაღები მინიმალური სამომავლო იჯარა:

	„ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალის“ იჯარა	მიწის იჯარა	სულ
2022 წლის 31 დეკემბერი			
ერთი წლის განმავლობაში	741	346	1,087
ერთიდან ორ წლამდე	741	346	1,087
ორიდან სამ წლამდე	741	346	1,087
სამიდან ოთხ წლამდე	741	346	1,087
ოთხიდან ხუთ წლამდე	741	346	1,087
5 წელზე მეტი	20,618	1,451	22,069
	24,323	3,181	27,504
2021 წლის 31 დეკემბერი			
ერთი წლის განმავლობაში	741	346	1,087
ერთიდან ორ წლამდე	741	346	1,087
ორიდან სამ წლამდე	741	346	1,087
სამიდან ოთხ წლამდე	741	346	1,087
ოთხიდან ხუთ წლამდე	741	346	1,087
5 წელზე მეტი	21,359	1,797	23,156
	25,064	3,527	28,591

2007 წლის აპრილში ჯგუფმა თანხმობა განაცხადა შპს „ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალისთვის“ მე-4, მე-5, მე-6 ნავმისადგომები, საბორნე ტერმინალის, გარკვეული მანქანა-დანადგარებისა და აღჭურვილობის, ასევე 13.6 ჰექტარს მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემაზე 48 წლის ვადით, 2055 წლის 30 ნოემბრამდე. ჯგუფმა საიჯარო გადახდები გადაანაწილა ფინანსურ და საოპერაციო იჯარების ელემენტებს შორის, თითოეული ელემენტის იჯარის უფლებით ფლობის სამართლიანი ღირებულების პროპორციულად. საოპერაციო იჯარის ნაწილზე წლიური გადახდები 2020 წლის ნოემბრამდე 541 აშშ დოლარს შეადგენს, ხოლო იჯარის ვადის ამოწურვამდე (2055 წლის ნოემბერი) დარჩენილი პერიოდების განმავლობაში - 741 აშშ დოლარს. 2019 წლის აპრილში ჯგუფმა იჯარით გასცა მე-7 ნავმისადგომი. მოიჯარემ იჯარით აღებულ მიწის ნაკვეთზე დაიწყო ახალი ტერმინალის მშენებლობა კარბიდის გადასატვირთად. საიჯარო ხელშეკრულება ძალაშია 10 წლის ვადით და ის შეიძლება გახანგრძლივდეს დამატებითი 10 წლით. ხელშეკრულების ვადის გასვლის ან შეწყვეტის შემდეგ, ტერმინალი დაინგრევა და მიწის ნაკვეთი დაუბრუნდება იჯარის დასაწყისში არსებულ მდგომარეობას.

2014 წლის 17 იანვარს და 2014 წლის 16 მაისს ჯგუფმა გააფორმა მიწის საიჯარო ხელშეკრულებები „ვიბრო დიაგნოსტიკასთან“. საიჯარო ხელშეკრულებებს ვადა 30 წელიწადში ეწურება.

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(ათას აშშ დოლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

20. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

2022 და 2021 წლების საიჯარო შემოსავალი მოიცავს შემდეგს:

	„ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალის“ იჯარა	„ვიბრო დიაგნოსტიკას“ იჯარა	სხვა	სულ
2022				
საიჯარო შემოსავალი	949	46	381	1,376
2021				
საიჯარო შემოსავალი	872	46	382	1,300

20.2 ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული ვალდებულებები - ჯგუფი, როგორც მემკვიდრე

ჯგუფს, როგორც მოიჯარეს, გაფორმებული აქვს ერთი მნიშვნელოვანი ფინანსური იჯარის ხელშეკრულება „ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალთან“ მე-4, მე-5, მე-6 ნავმისადგომების იჯარაზე (20.1 შენიშვნა). სამომავლო მინიმალური საიჯარო გადახდები ფინანსური იჯარის ფარგლებში, წმინდა მინიმალური საიჯარო გადახდების დღევანდელ ღირებულებასთან ერთად ასეთია:

„ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალის“ იჯარა	2022	2021
ერთი წლის განმავლობაში	38	38
ერთიდან ორ წლამდე	38	38
ორიდან სამ წლამდე	38	38
სამიდან ოთხ წლამდე	38	38
ოთხიდან ხუთ წლამდე	38	38
5 წელზე მეტი	1,065	1,103
სულ მინიმალური საიჯარო გადახდები	1,255	1,293
გამოკლებული ფინანსური დანარიცხები	(1,007)	(1,102)
მინიმალური საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულება	248	191

2022 წლის განმავლობაში ფინანსურ იჯარაზე დარიცხულმა საპროცენტო შემოსავალმა 38 აშშ დოლარი (2021 წ.: 38 აშშ დოლარი) შეადგინა.

აღნიშნული იჯარით გადაცემული მიწა მოიცავს შპს „საქართველოს რკინიგზის“ საკუთრებაში არსებულ გარკვეულ ინფრასტრუქტურას (შემდგომში „ობიექტი“). საიჯარო ხელშეკრულების თანახმად, ჯგუფი ვალდებული იყო „ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალის“ მოთხოვნის შემთხვევაში მოეხდინა ამ ობიექტის დემონტაჟი, თუ ის ხელს შეუშლიდა „ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალის“ ოპერაციებს. იმის გათვალისწინებით, რომ დემონტაჟისთვის საჭირო დროისა და ხარჯების შეფასება შეუძლებელი იყო, ჯგუფმა არ გაითვალისწინა ეს ხარჯები საიჯარო ხელშეკრულების საწყისი აღიარებისას და ასეთი ხარჯები გაწეულად ჩათვალა.

2011 წელს ჯგუფმა „ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალისგან“ მიიღო ობიექტის დემონტაჟის მოთხოვნა. ჯგუფმა მშობელი საწარმოსგან შეისყიდა მიწის ნაკვეთი და დაასრულა „საქართველოს რკინიგზისთვის“ ახალი ობიექტის მშენებლობა. 2018 წლის 1 იანვრამდე ჯგუფს აღნიშნულ სამუშაოებზე დახარჯული აქვს 1,076 აშშ დოლარი და მთლიანი თანხა გატარებული აქვს ხარჯებში.

20. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

მშენებლობა გადაეცემა „საქართველოს რკინიგზას“ 2023 წელს, რის შემდეგაც ჯგუფი დაიწყებს ობიექტის დემონტაჟს. როდესაც ახალი ობიექტი გადაეცემა შპს „საქართველოს რკინიგზას“, ის დაექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას.

20.3 საინვესტიციო ვალდებულებები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს აქვს 280 აშშ დოლარის (2021 წ.: 400 აშშ დოლარი) ოდენობის საინვესტიციო ვალდებულებები ღია სამშენებლო ხელშეკრულებების სახით.

20.4 საოპერაციო ვალდებულებები

მართვის ხელშეკრულების პირობების თანახმად, შპს „ბათუმის საზღვაო ნავსადგურმა“ ბათუმის საზღვაო ნავსადგურის გავლით უნდა უზრუნველყოს შეთანხმებული წლიური გადატვირთვები. იმ შემთხვევაში, თუ „ბათუმის საზღვაო ნავსადგური“ ვერ შეძლებს შეთანხმებული მოცულობის გადატვირთვების განხორციელებას, მესაკუთრეს (სახელმწიფოს) უფლება აქვს მოითხოვოს შემდეგი ჯარიმების გადახდა, მართვის ხელშეკრულების შესაბამის მოცულობებში ნაკლებობისთვის:

2022 წელს „ბათუმის საზღვაო ნავსადგურით“ განხორციელებულმა ფაქტიურმა გადატვირთვებმა მინიმალურ მოთხოვნებს გადააჭარბა და ჯარიმებზე დამატებითი ანარიცხები არ აღიარებულა.

20.5 სხვა პირობითი ვალდებულებები

2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს რამდენიმე ცნობილი სასამართლო დავა ჰქონდა, რომლისთვისაც განისაზღვრა ან განხორციელდა ქვემოთ მოცემული ანარიცხები:

	2022 წლის 31 დეკემბერი		2021 წლის 31 დეკემბერი	
	გათვალისწინებული სასამართლო დავები და სარჩელები	გათვალისწინებული ცნობილი სასამართლო დავები და სარჩელები	გათვალისწინებული სასამართლო დავები და სარჩელები	გათვალისწინებული ცნობილი სასამართლო დავები და სარჩელები
მომხმარებელთა სარჩელები	–	16,143	–	16,143
ბიზნეს-კონტრაქტის სარჩელი ჯგუფის წინააღმდეგ	–	12,492	–	12,492
სასამართლო დავა სს „საქართველოს რკინიგზასთან“	–	2,712	–	2,712
თანაინვესტირების პროექტი მომხმარებელთან (აღიარებულია გადავადებული შემოსავლის სახით)	905	–	905	–
სულ	979	31,347	979	31,347

მომხმარებელთა სარჩელები

2016 წლის 19 დეკემბერს ჯგუფმა იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტისგან მიიღო თბილისის საქალაქო სასამართლოს (შემდგომში „სასამართლო“) მიერ 2016 წლის 9 დეკემბერს გაცემული სააღსრულებო ფურცელი. სასამართლომ სააღსრულებო ფურცლები გასცა ჯგუფის შეტყობინების გარეშე, რომ დაეკმაყოფილებინა ჯგუფის ორი მომხმარებლის (შემდგომში „მოსარჩელე“ ან „მოსარჩელები“) მიერ წაყენებული მოთხოვნები.

20. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

პირველი სააღსრულებო ფურცლით ჯგუფს მოეთხოვა, რომ ემოქმედა კონკურენციის შესახებ კანონის შესაბამისად, არ დაეწესებინა გადატვირთვის დისკრიმინაციული და უსამართლო ტარიფები, ძალაში დაეტოვებინა გადატვირთვის არსებული ტარიფები, არ შეეწყვიტა გადატვირთვის არსებული ხელშეკრულება და სასამართლოში საქმის გადაწყვეტამდე არ შეეწყვიტა ერთ-ერთი მოსარჩლის მომსახურება. მეორე სააღსრულებო ფურცლით ჯგუფს მოეთხოვებოდა, რომ არ დაეწესებინა დისკრიმინაციული ტარიფები შენახვისა და გადატვირთვის მომსახურების გაწევაზე მეორე მოსარჩლისთვის და შეეთავაზებინა იგივე ტარიფები, რომლებსაც უწესებდა სხვა მომხმარებელს. გარდა ამისა, ამავე სააღსრულებო ფურცლით, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 5,098 აშშ დოლარის ოდენობით (2021 წ.: 4,821 აშშ დოლარი) სამართლიანი ღირებულების მქონე ძირითადი საშუალებები წარმოადგენდა მოსარჩელის მიერ წარდგენილი სარჩელის უზრუნველყოფას. ის კრძალავს ამ ქონების გასხვისებას, მაგრამ არ მოქმედებს ჯგუფის საოპერაციო და ეკონომიკურ საქმიანობაზე.

2021 წლის 11 ნოემბერს სასამართლომ საბოლოო გადაწყვეტილებაში სრულად დააკმაყოფილა მოსარჩელის სარჩელი 16,143 აშშ დოლარის ოდენობით და უარი თქვა ჯგუფის შემხვედრი სარჩელის დაკმაყოფილებაზე 68 აშშ დოლარის ოდენობით, 2018 წლის 19 მარტის შემდეგ დარიცხულ პროცენტთან ერთად. 2021 წლის 24 დეკემბერს ჯგუფმა თბილისის სააპელაციო სასამართლოში შეიტანა სარჩელი, რომელსაც თბილისის სააპელაციო სასამართლო ახლა განიხილავს.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ხელმძღვანელობა კვლავ აფასებს რესურსების გადინების რისკს შესაძლებლობის ფარგლებში. ჯგუფის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ეს სარჩელები უსაფუძვლოა, ვინაიდან მოსარჩელებისთვის შეთავაზებული გადატვირთვისა და შენახვის ტარიფები კონკურენტული და სხვა მომხმარებლებისთვის შეთავაზებული ტარიფების იდენტურია.

ბიზნეს-კონტრაქტის სარჩელი ჯგუფის წინააღმდეგ

2021 წლის 5 თებერვალს ჯგუფმა ბათუმის საქალაქო სასამართლოდან მიიღო წერილი ერთ-ერთი მოსარჩელის ახალ სარჩელთან ერთად, რომლითაც მოსარჩელე ითხოვდა 12,492 აშშ დოლარის ოდენობით მიუღებელი ამონაგების ანაზღაურებას, მომსახურებების გაწევას ღია და მუქი ნავთობის გადატვირთვის კონკრეტული ტარიფებით, ტარიფების ცალმხრივად შეცვლის ან ცალმხრივად გაზრდილი ტარიფით ანაზღაურების მიღების გარეშე.

შენობა, 25 რეზერვუარი და რამდენიმე ესტაკადა დაგირავდა სარჩელის უზრუნველყოფის სახით. მოსარჩელემ მოითხოვა რეზერვუარების გადაკეთების ნებართვა ღია ნავთობის გადატვირთვისთვის და ჯგუფის ერთ-ერთი რეზერვუარის გამოყოფისა და გადაკეთებისთვის განკუთვნილი რეზერვუარებიდან გადატვირთული ნავთობის შესანახად. სარჩელის თანახმად, გადაკეთების ყველა სამუშაო დაფინანსდება მოსარჩელის მიერ.

2021 წლის 16 ივლისს ბათუმის საქალაქო სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა მოსარჩელის სარჩელი. 2021 წლის 19 ოქტომბერს ჯგუფმა გაასაჩივრა გადაწყვეტილება ბათუმის სასამართლოში. ჯგუფი აპირებს გადაწყვეტილების გასაჩივრებას საქართველოს უზენაეს სასამართლოში და აპელაციის დაკმაყოფილების ალბათობას აფასებს, როგორც მაღალს, რადგან, მხარეებს შორის გაფორმებული სერვიტუტის ხელშეკრულებების თანახმად, ნებისმიერი დავა უნდა განიხილოს საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლომ. შესაბამისად, ჯგუფის ხელმძღვანელობა შესაძლებლობის ფარგლებში აფასებს რესურსების გადინების რისკს.

20. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

სასამართლო დავა „საქართველოს რკინიგზასთან“

2005 წელს სს „საქართველოს რკინიგზამ“ თბილისის საქალაქო სასამართლოში შეიტანა სარჩელი ჯგუფის წინააღმდეგ, 7,880 აშშ დოლარის (2014 წლის 9 ივნისს: 13,942 ლარის ეკვივალენტი ლარში) აღდგენაზე, სატანკერო ვაგონებით სარგებლობისა და ტვირთის შენახვისთვის ჯგუფის ჩიხებში განთავსებული ცარიელი ტანკერებით 2003 წლის 1 ივლისიდან 2005 წლის 1 დეკემბრამდე პერიოდში. 2019 წლის 16 აპრილს თბილისის საქალაქო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა „საქართველოს რკინიგზის“ სარჩელი 2,941 აშშ დოლარის ოდენობით (ეკვივალენტი ლარში 8,435 ლარი). 2020 წლის 5 თებერვალს თბილისის საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა ჯგუფის სარჩელი მეორე ინსტანციაში და მიიღო საქმის პირველ ინსტანციაში დაბრუნების გადაწყვეტილება, რომლითაც საქართველოს რკინიგზას 2,712 აშშ დოლარის გადახდა ეკისრებოდა. 2020 წლის 16 აპრილს ჯგუფმა შეიტანა საკასაციო სარჩელი საქართველოს უზენაეს სასამართლოში. 2022 წლის 7 თებერვალს ჯგუფმა თბილისის სააპელაციო სასამართლოდან მიიღო შეტყობინება, რომ ჯგუფის საკასაციო სარჩელი წარმოებაში იყო მიღებული, თუმცა უზენაესი სასამართლოს მიერ გამოტანილი დასაშვებობის შესახებ გადაწყვეტილების ასლი არ იყო წარმოდგენილი. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის ხელმძღვანელობა დასაშვებად იღებს რესურსების გადინების რისკს.

თანდაფინანსების პროექტი მომხმარებელთან

ჯგუფმა კლიენტთან ერთად დააფინანსა კაპიტალური პროექტი, რომელიც უკავშირდება თავის არსებულ სატერმინალო აქტივებს. მისი მონაწილეობა დაფინანსებაში 2.700 აშშ დოლარს შეადგენს. პროექტის მთლიანი ღირებულება 5.400 აშშ დოლარად არის შეფასებული. ამ აქტივების მესაკუთრე იქნება ჯგუფი, ხოლო კლიენტს ექნება მათი გამოყენების უპირატესი უფლება 2045 წლის 1 ივლისამდე. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 1.800 აშშ დოლარის ღირებულების კაპიტალური სამუშაოები ჩატარდა. ჯგუფმა დაუმთავრებელი მშენებლობის სრულად კაპიტალიზაცია მოახდინა და აღრიცხა გადავადებული შემოსავალი 905 აშშ დოლარის ოდენობით, რადგან აღებული აქვს ვალდებულება, რომ კლიენტს გადატვირთვის მომსახურება გაუწიოს შედარებით დაბალი ტარიფებით.

წყალქვეშა მილების მიწოდება და დამონტაჟება, რაშიც 1.800 აშშ დოლარის ოდენობით ავანსია გადახდილი, უნდა განხორციელებულიყო 2017 წლის 31 ოქტომბრამდე. ვადების არაერთხელ გადაწევის გამო, ხელმძღვანელობამ საეჭვოდ შეაფასა კლიენტის ვალდებულების შესრულების შესაძლებლობა და შექმნა გადახდილი ავანსების სრული რეზერვი. 2022 წელს ადგილი არ ჰქონია თანაინვესტირების პროექტთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან მოვლენას ან ვითარებებს.

20.6 საგადასახადო და საბაჟო პირობითი ვალდებულებები

შემოსავლების სამსახურის მიერ ჩატარებული საბაჟო და საგადასახადო ინსპექტირება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფმა აღიარა საგადასახადო ანარიცხი 2,840 აშშ დოლარის ოდენობით (2021 წ.: 3,265 აშშ დოლარი) დღგ-ზე, აქციზის გადასახადსა და დაკავშირებულ ჯარიმებზე ნავთობპროდუქტების გამოვლენილი დეფიციტის საფუძველზე, ამგვარი ნავთობპროდუქტების საბაზრო ფასებზე დაყრდნობით (მე-18 შენიშვნა). 2022 წელს ჯგუფმა გამოიყენა 715 აშშ დოლარი მისი ვალდებულებების და დღგ-ის მოთხოვნის ურთიერთგადაფარვის გზით (მე-18 შენიშვნა).

20. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

20.6 საგადასახადო და საბაჟო პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

საქართველოს შემოსავლების სამსახურის მიერ ჩატარებული საგადასახადო ინსპექტირება

2015 წლის 4 დეკემბერს ჯგუფმა მიიღო საქართველოს შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული საგადასახადო ინსპექტირების აქტი 2010 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 1 იანვრამდე პერიოდისთვის დამატებული ღირებულების გადასახადისთვის, მოგების გადასახადისთვის, უკუდაბეგვრის დამატებული ღირებულების გადასახადისთვის და იმპორტის მოსაკრებლისთვის, და 2010-2013 წლებისთვის საშემოსავლო გადასახადისთვის და მოგების გადასახადისთვის. 2021 წლის დეკემბერში ჯგუფმა წააგო სასამართლო საქმე შემოსავლების სამსახურთან ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მეორე ინსტანციაში და შეცვალა შესაბამისი დებულება, რომლითაც აღიარებდა დამატებით დარიცხვას 1,766 ლარის ოდენობით, რაც სხვა არასაოპერაციო ხარჯებში აისახა. 2022 წლის დეკემბერში კომპანიამ სარჩელი შეიტანა საქართველოს უზენაეს სასამართლოში. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია კვლავ მოლოდინშია, მიიღებს თუ არა უზენაესი სასამართლო სარჩელს. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებული ანარიცხის გადახედვა არ მომხდარა 2021 წელთან შედარებით.

21. ფინანსური რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა

ჯგუფის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები შედგება სესხებისგან და ასევე სავაჭრო და სხვა ვალდებულებებისგან. ამ ფინანსური ვალდებულებების ძირითადი მიზანია დაფინანსების მოზიდვა ჯგუფის ოპერაციებისთვის. ჯგუფი თავისი ოპერაციებიდან პირდაპირ იღებს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს და ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს.

ჯგუფს აქვს საკრედიტო, სავალუტო და ლიკვიდობის რისკები.

ჯგუფის საბაზრო რისკი უმნიშვნელოა, რადგანაც ის არ ფლობს ისეთ მნიშვნელოვან აქტივებს ან ვალდებულებებს, რომლებზეც სამომავლო ფულადი ნაკადების ოდენობა იმერყევებს საბაზრო ფასებში ცვლილებების გამო. ჯგუფს არ აქვს მცოცავი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები. ისეთ ვალუტებში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც არ წარმოადგენს ჯგუფის სამუშაო ვალუტას, არაარსებობს.

ჯგუფის ხელმძღვანელობა ზედამხედველობს ამ რისკების მართვას. ჯგუფი საკმაოდ შეზღუდულად ეწევა ისეთ საქმიანობას, რომლის დროსაც ფინანსური რისკის აღება მოუწევდა. ჯგუფი არ ეწევა რაიმე საქმიანობას წარმოებული ინსტრუმენტებით რისკის მართვის ან სხვა მიზნებისთვის.

ჯგუფის თითოეული შესაბამისი რისკის მართვის პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ:

(i) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ მეორე მხარე ვერ შეასრულებს ფინანსური ინსტრუმენტით ან მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და ამით ორგანიზაციას ფინანსური ზარალი მიადგება. ჯგუფი საკრედიტო რისკს გასწევს საოპერაციო საქმიანობის და ფინანსური საქმიანობის ნაწილში, ასევე ბანკებსა და ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებული ანაზღაურებებიდან გამომდინარე.

21. ფინანსური რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა (გაგრძელება)

(i) საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მოთხოვნების ნაშთი მოიცავს დაკავშირებული და მესამე მხარეების მომცრო ნაშთებს, რომლებიც წარმოშობიდან მაქსიმუმ 30-90 დღის ვადაში იფარება. საკრედიტო რისკის მაქსიმალურ მოცულობას საანგარიშგებო თარიღისთვის წარმოადგენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება 1,919 აშშ დოლარის ოდენობით (2021 წ.: 3,800 აშშ დოლარი).

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ხელმძღვანელობა საკრედიტო რისკს აკონტროლებს ნაღდი ფულისა და ანაზრების განთავსებით საქართველოს უმაღლესი რეიტინგის მქონე ბანკებში, რომლებსაც ჯგუფთან უწყვეტი საქმიანი ურთიერთობა აკავშირებთ. საკრედიტო რისკის მაქსიმალურ მოცულობას საანგარიშგებო თარიღისთვის წარმოადგენს ბანკებში განთავსებული ნაღდი ფულისა და ანაზრების საბალანსო ღირებულება 17,160 აშშ დოლარის ოდენობით (2021 წ.: 6,772 აშშ დოლარი).

(ii) სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი გამოიხატება იმაში, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება შეიძლება მერყეობდეს სავალუტო კურსის ცვლილების გამო. ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე გავლენას ახდენს ძირითადი ვალუტების კურსების მერყეობა.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია ჯგუფის დასაბეგრი მოგების მგრძნობელობა აშშ დოლარის და ლარის გაცვლითი კურსის გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვალებადობის მიმართ, როცა ყველა დანარჩენი ცვლადი მუდმივია (ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიან ღირებულებაში მომხდარი ცვლილებების გამო).

	ცვლილება აშშ დოლარის და ლარის გაცვლით კურსში	ეფექტი დაბეგვრამდე ზარალზე
2022	19%	334
	-19%	(334)
2021	14%	(1,113)
	-6%	664

(iii) ლიკვიდობის რისკი

ჯგუფი ფულადი სახსრების დეფიციტის რისკს აკონტროლებს ფულადი ნაკადების მოსალოდნელი გასვლის და შემოსვლის ანალიზით მოთხოვნამდე და ხუთ წლამდე პერიოდისთვის. ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია ჯგუფის ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი ხელშეკრულებით გათვალისწინებული არადისკონტირებული გადახდების საფუძველზე:

2022 წლის 31 დეკემბერი	საბალანსო ღირებულება	სახელშეკრუ- ლებო ფულადი ნაკადები	მოთხოვნამდე	0-დან 12 თვემდე
სესხები და ნასესხები სახსრები (მე-16 შენიშვნა)	30,698	1,000	13,609	1,000
სავაჭრო და სხვა ვალდებულება (მე-17 შენიშვნა)	45,589	45,588	45,588	–
	76,287	46,588	59,197	1,000

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(ათას აშშ დოლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

21. ფინანსური რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა (გაგრძელება)

(iii) ლიკვიდობის რისკი (გაგრძელება)

2021 წლის 31 დეკემბერი	საბალანსო ლირებულება	სახელშეკრუ- ლებო ფულადი ნაკადები	მოთხოვნამდე	0-დან 12 თვემდე
სესხები და ნასესხები სახსრები (მე-16 შენიშვნა)	45,899	46,935		47,043
სავაჭრო და სხვა ვალდებულება (მე-17 შენიშვნა)	44,069	44,069	44,069	–
	89,968	91,004	44,069	47,043

როგორც ეს ცხრილიდან ჩანს, ჯგუფს აქვს მნიშვნელოვანი ოდენობის ვალდებულებები, რომლებიც უნდა დაიფაროს ერთი წლის განმავლობაში დაწყებული 2022 წლის 31 დეკემბრიდან. ჯგუფის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების შეფასება უფრო დაწვრილებით განხილულია მე-4 შენიშვნაში.

(iv) კაპიტალის მართვა

ჯგუფის კაპიტალის მართვის პოლიტიკა განსაზღვრავს კაპიტალის საკმარისი ბაზის შენარჩუნებას, რომ დაკმაყოფილდეს ჯგუფის საოპერაციო და სტრატეგიული მიზნები და მოხდეს ბაზრის მონაწილეების ნდობის შენარჩუნება.

(v) სამართლიანი ღირებულება

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება ბალანსის თარიღისთვის მნიშვნელოვნად არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებებისგან მათი მოკლევადიანი ხასიათის გამო, გარდა ნასესხები სახსრებისა, რომლებიც 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიცვალა და ამორტიზებული ღირებულება დაანგარიშდა ბაზრის საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე (მე-16 შენიშვნა). ყველა სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-3 დონით, გარდა ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისა, რომლებიც 1-ელ დონეს განეკუთვნება.

22. ცვლილებები საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილ ვალდებულებებში

	2021 წლის 31 დეკემბერი	ფულადი ნაკადები	ფინანსური დანახარჯები	ფინანსური ვალდებულებების მოდIFIცირებით განპირობებული შემოსულობა	სხვა	2022 წლის 31 დეკემბერი
სესხები და ნასესხები სახსრები (მე-16 შენიშვნა)	45,899	(3,333)	5,446	(17,312)	(2)	30,698
სულ ვალდებულებები საფინანსო საქმიანობიდან	45,899	(3,333)	5,446	(17,312)	(2)	30,698

	2020 წლის 31 დეკემბერი	ფულადი ნაკადები	ფინანსური დანახარჯები	ფინანსური ვალდებულებების მოდIFIცირებით განპირობებული შემოსულობა	სხვა	2021 წლის 31 დეკემბერი
სესხები და ნასესხები სახსრები (მე-16 შენიშვნა)	49,104	–	1,145	(4,350)	–	45,899
სულ ვალდებულებები საფინანსო საქმიანობიდან	49,104	–	1,145	(4,350)	–	45,899

2022 წლის შპს „ბათუმის ნავთობტერმინალის“ (შემდგომში - ჯგუფი) კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება

1. ზოგადი ინფორმაცია

სს „ყაზტრანსოილი“ წარმოადგენს შპს „ბათუმის ნავთობტერმინალის“ (შემდგომში - ტერმინალი) 100% წილის პირდაპირ მესაკუთრეს, რომელსაც გააჩნია მართვის ექსკლუზიური უფლება შპს „ბათუმის საზღვაო ნავსადგურში“ (შემდგომში - ნავსადგური) მონაწილეობის 100 % წილის მიმართ.

ტერმინალი

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. ბათუმი, მაიაკოვსკის ქუჩა #4. საიდენტიფიკაციო კოდი #245432544.

ტერმინალი აწარმოებს ნავთობის, ნავთობპროდუქტებისა და გაზის (აირის), ასევე მათი გადამუშავების პროდუქტების გადატვირთვის, ტრანსპორტირების, ექსპედირების, შეძენისა და რეალიზაციის მომსახურებას. ტერმინალის სიმძლავრეები იძლევა საშუალებას გადაიტვირთოს 22 სახეობამდე ნავთობი და ნავთობპროდუქტები 132 რეზერვუარის მეშვეობით, რომელთა საერთო სასარგებლო ტონაჟობა შეადგენს 400 ათას ტონაზე მეტს. წლიური გამტარუნარიანობა შეადგენს 12 მლნ ტონაზე მეტს.

ტერმინალში მუშაობს 6 ჩამოსასხმელი სარკინიგზო ესტაკადა, რომლებსაც შეუძლიათ განახორციელონ ერთდროულად 180-მდე ან დღე-ღამეში 700-ზე მეტი ვაგონ-ცისტერნის ჩასხმა. ყველა ესტაკადა დაკავშირებულია მილსადენების სისტემებით სხვადასხვა სარეზერვუარო პარკთან, რომლებიც უზრუნველყოფენ ტერმინალის საექსპლუატაციო მოქნილობას. ერთ-ერთ ესტაკადაზე დანერგილია ნავთობისა და ნავთობპროდუქტების მძიმე და ბლანტი სახეობისთვის მრავალდონიანი გათბობის სისტემა. ტერმინალის ყველა სარკინიგზო ესტაკადა აღჭურვილია ჩამოსხმის მონაცემთა ელექტრონული აღრიცხვის საშუალებით.

ნავთობის ტანკერებში ჩასხმა ხორციელდება სამი პორტისაგან იჯარით აღებული მისადგომისა და გადასატანი სანავმისადგომო მოწყობილობით (უნაპირო ნავმისადგომი). უნაპირო ნავმისადგომი წარმოადგენს ტერმინალის უმსხვილეს ჩასატვირთ მოწყობილობას, რომელსაც შეუძლია ტანკერების მიღება სრული ტვირთშიდაობით (დედვეიტით) 140 000 ტონამდე.

ნავსადგური

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. ბათუმი, ბაქოს ქუჩა #15.

ნავსადგურის ძირითად საქმიანობას წამოადგენს ტვირთების ნომენკლატურის დიდი სპექტრის გადატვირთვა. ტვირთბრუნვის სტრუქტურაში ჭარბობს ნავთობის დატვირთვისა და მშრალი ტვირთების ტრანშიტი.

2. 2022 წლის ჯგუფის ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლები

ცხრილი 1. 2021-2022 წწ. ჯგუფის ძირითადი ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლები

№	დასახელება	განზ.ერთ.	ჯგუფი			
			2021 წ. ფაქტი	2022 წ. ფაქტი	გადახრა	% გადახრა
A	B	1	2	3	4=3-2	5=3/2
1	შემოსავლები, სულ	ათასი აშშ დოლარი	29 041	40 057	11 016	138%
1.1.	მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლები და სხვა საოპერაციო შემოსავლები	ათასი აშშ დოლარი	27 769	39 056	11 287	141%
1.2.	დაფინანსებიდან მიღებული შემოსავლები	ათასი აშშ დოლარი	292	480	188	164%
1.3.	არასაოპერაციო შემოსავლები	ათასი აშშ დოლარი	980	521	(459)	53%
2	ხარჯები, სულ	ათასი აშშ დოლარი	23 239	22 729	(510)	98%
2.1.	გაწეული მომსახურების თვითღირებულება	ათასი აშშ დოლარი	19 761	26 254	6 493	133%
2.2.	საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	ათასი აშშ დოლარი	4 314	5 274	960	122%
2.3.	ფინანსირების ხარჯები	ათასი აშშ დოლარი	(3 205)	(11 866)	(8 661)	370%
2.4.	არასაოპერაციო ხარჯები	ათასი აშშ დოლარი	2 369	3 067	698	129%
3	ზარალი გადასახადით დაბეგვრამდე	ათასი აშშ დოლარი	5 802	17 328	11 526	299%
4	კორპორაციული საშემოსავლო გადასახადის ხარჯები	ათასი აშშ დოლარი	0	0	-	
5	ზარალის საერთო ჯამი	ათასი აშშ დოლარი	5 802	17 328	11 526	299%
6	საშუალო რიცხოვნობა	ადამიანი	1 195	1 165	(30)	97%
7	შრომის მწარმოებლურობა	ათასი აშშ დოლარი /ადამიანი	23	34	11	148%

2. 2022 წლის ჯგუფის ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლები (გაგრძელება)

ცხრილი 1_1. 2021-2022 წწ. ტერმინალის ძირითადი ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლები

№	დასახელება	განზ.ერთ.	ტერმინალი			
			2021 წ. ფაქტი	2022 წ. ფაქტი	გადახრა	% გადახრა
A	B	1	2	3	4=3-2	5=3/2
1	შემოსავლები, სულ	ათასი აშშ დოლარი	17 609	24 824	7 215	141%
1.1.	მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლები და სხვა საოპერაციო შემოსავლები	ათასი აშშ დოლარი	11 982	20 940	8 958	175%
1.2.	დაფინანსებიდან მიღებული შემოსავლები	ათასი აშშ დოლარი	4 751	3 490	(1 261)	73%
1.3.	არასაოპერაციო შემოსავლები	ათასი აშშ დოლარი	876	394	(482)	45%
2	ხარჯები, სულ	ათასი აშშ დოლარი	9 945	7 257	(2 688)	73%
2.1.	გაწეული მომსახურების თვითღირებულება	ათასი აშშ დოლარი	10 168	14 101	3 933	139%
2.2.	საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	ათასი აშშ დოლარი	2 218	3 031	813	137%
2.3.	ფინანსირების ხარჯები	ათასი აშშ დოლარი	(3 084)	(11 753)	(8 669)	381%
2.4.	არასაოპერაციო ხარჯები	ათასი აშშ დოლარი	643	1 878	1 235	292%
3	ზარალი გადასახადით დაბეგვრამდე	ათასი აშშ დოლარი	7 664	17 567	9 903	229%
4	კორპორაციული საშემოსავლო გადასახადის ხარჯები	ათასი აშშ დოლარი	0	0	-	-
5	ზარალის საერთო ჯამი	ათასი აშშ დოლარი	7 664	17 567	9 903	229%
6	საშუალო რიცხოვნობა	ადამიანი	552	552	-	100%
7	შრომის მწარმოებლურობა	ათასი აშშ დოლარი /ადამიანი	22	38	16	173%

ჯგუფმა 2022 წელი დახურა ჯამური წმინდა მოგებით 17 328 ათასი აშშ დოლარი, რაც 2021 წლის მაჩვენებელზე 11 526 ათასი აშშ დოლარით მეტია.

შემოსავლების დადებითი დინამიკა განპირობებულია ძირითადი საქმიანობიდან შემოსავლების 11 287 ათასი აშშ დოლარით გაზრდით. რაც გამოწვია საერთო ტვირთბრუნვის მოცულობის ზრდამ.

დაფინანსებიდან მიღებული შემოსავლები გაზრდილია 188 ათასი აშშ დოლარით.

არასაოპერაციო შემოსავლები შემცირებულია 459 ათასი აშშ დოლარით.

თვითღირებულების ნაწილში ხარჯები გაიზარდა 6 493 ათასი აშშ დოლარით, რაც განპირობებულია ტვირთბრუნვის მოცულობის გაზრდასთან დაკავშირებული ხარჯების ზრდით.

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში 2021 წელთან შედარებით დანახარჯები გაიზარდა 960 ათასი აშშ დოლარით.

ფინანსირების ხარჯების ნაწილში 2021 წელთან შედარებით დანახარჯები შემცირდა 8 661 ათასი აშშ დოლარით.

არასაოპერაციო ხარჯები გაიზარდა 698 ათასი აშშ დოლარით.

3. რისკების ანალიზი

კოვიდ-19 თან დაკავშირებული რისკი

კორონავირუსის პანდემიის (COVID-19) ბოლო დროს განვითარებული მოვლენების გამო, მრავალმა ქვეყანამ, მათ შორის საქართველომ, საკარანტინო ღონისძიებები გაატარა, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა ბაზრის მონაწილეთა ბიზნეს საქმიანობების დონესა და მასშტაბებზე. მოსალოდნელია, რომ თავად პანდემიამ და მისი შედეგების შესუსტებისთვის გატარებულმა ღონისძიებებმა იმოქმედონ სხვადასხვა მრეწველობაში მოღვაწე კომპანიების საქმიანობებზე. კომპანია პანდემიას აფასებს როგორც არაკორექტირებად მოვლენას ანგარიშგების პერიოდის შემდეგ, რომლის რაოდენობრივი გავლენა მოცემული მომენტისთვის ვერ შეფასდება ნდობის სათანადო ხარისხით.

4. 2022 წლის ჯგუფის საქმიანობის სოციალური მიმართულებები

ჯგუფში ფართოდ არის განვითარებული სოციალური მიმართულება, რომელიც ეხება როგორც თანამშრომლებს, ასევე სპონსორულ და საქველმოქმედო დახმარებასთან დაკავშირებულ მიმართულებას.

ოციალური სფეროს ნაწილში ჯგუფი უზრუნველყოფს თანამშრომლებს უფასო კვებით. ასევე ჯგუფის ყველა თანამშრომელს გაფორმებული აქვს სამედიცინო დაზღვევა ჯგუფის ხარჯზე. სპონსორულ და საქველმოქმედო დახმარების ნაწილში ტერმინალი ასპონსორებს საქველმოქმედო სასაძილოს, სადაც ყოველდღე იკვებება 155 ადამიანი საზოგადოების სოციალურად დაუცველი ფენიდან. ბიუჯეტში ფულადი სახსრების არსებობისას ჯგუფის კომპანიები ყოველწლიურად უწევენ თანადგომას ბავშვთა სახლების აღსაზრდელებსა და სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

5. ეკოლოგიისა და გარემოს დაცვის საკითხებში ტერმინალის საქმიანობა

კომპანიაში ფუნქციონირებს საკუთარი QHSE სამსახური - შრომის დაცვის, საწარმოო უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის განყოფილება, რომლის ფუნქციებში შედის გარემოს დაცვის შესახებ სახელმწიფო კანონების კონტროლი და შესრულების უზრუნველყოფა.

განყოფილება ყოველკვარტალურად გადის კომპანიის საქმიანობის აუდიტორულ შეფასებას ქვემოთ ჩამოთვლილი საქართველოს კანონებისა და ქვენორმატიული აქტების შესაბამისობაზე:

“გარემოს დაცვის შესახებ”, “გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი”, „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“, „წყლის შესახებ“, „ნიადაგის დაცვის შესახებ“, „კოდექსი ნარჩენების მართვის შესახებ“, „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“, „საქართველოს ზღვის, წყალსატევებისა და მდინარეთა ნაპირების რეგულირებისა და საინჟინრო დაცვის შესახებ“, „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“, „კოლხეთის ეროვნული პარკის შექმნისა და მართვის შესახებ“, „დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ“, „წიაღის შესახებ“, „მტირალას ეროვნული პარკის შესახებ“, „საზღვაო-სამაშველო სამსახურის შესახებ“, „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“, „საქართველოს საზღვაო კოდექსი“, „საქართველოს საზღვაო სივრცის შესახებ“, „საქართველოს ტერიტორიაზე ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ“, „ტურიზმისა და კურორტების შესახებ“, „კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარიული დაცვის ზონების შესახებ“, „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“, „საშიში ნივთიერებებით გამოწვეული ზიანის კომპენსაციის შესახებ“, „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“, „რადიოაქტიური ნარჩენების შესახებ“, „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“, „კურორტებისა და საკურორტო ადგილების ნუსხის შესახებ“, „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“, „კურორტებისა და საკურორტო ადგილების ნუსხის შესახებ“, ასევე, საქართველოს მთავრობის და სამინისტროს მიერ გაცემული ქვენორმატიული აქტები გარემოს დაცვის სფეროში.

მმართველი დირექტორი
ეკონომიკისა და ფინანსურ საკითხებში



ა. ტურაროვა

შემსრულებელი

საგეგმო-ეკონომიკური განყოფილების უფროსი

დ. მეგრელიშვილი

თარიღი: 11 აპრილი 2023

5. ეკოლოგიისა და გარემოს დაცვის საკითხებში ტერმინალის საქმიანობა

კომპანიაში ფუნქციონირებს საკუთარი QHSE სამსახური - შრომის დაცვის, საწარმოო უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის განყოფილება, რომლის ფუნქციებში შედის გარემოს დაცვის შესახებ სახელმწიფო კანონების კონტროლი და შესრულების უზრუნველყოფა.

განყოფილება ყოველკვარტალურად გადის კომპანიის საქმიანობის აუდიტორულ შეფასებას ქვემოთ ჩამოთვლილი საქართველოს კანონებისა და ქვენორმატიული აქტების შესაბამისობაზე:

“გარემოს დაცვის შესახებ”, “გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი”, „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“, „წყლის შესახებ“, „ნიადაგის დაცვის შესახებ“, „კოდექსი ნარჩენების მართვის შესახებ“, „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“, „საქართველოს ზღვის, წყალსატევებისა და მდინარეთა ნაპირების რეგულირებისა და საინჟინრო დაცვის შესახებ“, „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“, „კოლხეთის ეროვნული პარკის შექმნისა და მართვის შესახებ“, „დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ“, „წიაღის შესახებ“, „მტირალას ეროვნული პარკის შესახებ“, „საზღვაო-სამაშველო სამსახურის შესახებ“, „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“, „საქართველოს საზღვაო კოდექსი“, „საქართველოს საზღვაო სივრცის შესახებ“, „საქართველოს ტერიტორიაზე ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ“, „ტურიზმისა და კურორტების შესახებ“, „კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარიული დაცვის ზონების შესახებ“, „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“, „საშიში ნივთიერებებით გამოწვეული ზიანის კომპენსაციის შესახებ“, „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“, „რადიოაქტიური ნარჩენების შესახებ“, „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“, „კურორტებისა და საკურორტო ადგილების ნუსხის შესახებ“, „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“, „კურორტებისა და საკურორტო ადგილების ნუსხის შესახებ“, ასევე, საქართველოს მთავრობის და სამინისტროს მიერ გაცემული ქვენორმატიული აქტები გარემოს დაცვის სფეროში.

მმართველი დირექტორი
ეკონომიკისა და ფინანსურ საკითხებში

ა. ტურაროვ

შემსრულებელი

საგეგმო-ეკონომიკური განყოფილების უფროსი

დ. მეგრელიშვილი

თარიღი: 11 აპრილი 2023